კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი

სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

საერთაშორისო ურთიერთობები და საერთაშორისო უსაფრთხოების სამაგისტრო პროგრამის მაგისტრანტი

მიხეილ კიკნაძე

,, ევროკავშირის სამეზობლო პოლიტიკა პოსტსაბჭოთა ქვეყნებთან“

ნაშრომი შესრულებულია საერთაშორისო ურთიერთობებსა და საერთაშორისო უსაფრთხოებაში სოციალური მეცნიერების მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

ნაშრომის ხელმძღვანელი - თამარ კიკნაძე,

პოლიტიკის მეცნიერებათა დოქტორი, კსუ-ს ასოცირებული პროფესორი

თბილისი

2019

ა ნ ო ტ ა ც ი ა

სამაგისტრო ნაშრომი ეხება პოსტსაბჭოთა ქვეყნებთან ევროკავშირის სამეზობლო პოლიტიკას -სომხეთი, საქართველო, , მოლდოვა აზერბაიჯანი,ბელორუსი და უკრაინა,

კვლევაში, ყურადღება ძირითად გამახვილებულია, ამ პოლიტიკის ეტაპებზე და არსზე, პარტნიორობის მეთოდებზე და ფორმებზე , მის გავლენაზე აღნიშნული ქვეყნების სოციალურ, ეკონომიკურ და პოლიტიკურ, მდგომარეობაზე. განხილულია ის ხელშეკრულებები და დოკუმენტები, რომლებიც უზრუნველყოფენ პოლიტიკური სისტემების დემოკრატიზაციას და ამ ქვეყნების მიერ ევროპული ღირებულებების გაზიარებას. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა,სამხრეთ კავკასიის რეგიონში, ევროკავშირის სამეზობლო პოლიტიკას და განსხვავებული პოლიტიკური არჩევნის მოტივაციას, ამ რეგიონის სამ ქვეყანაში, აგრეთვე უკრაინის, ბელორუსის და მოლდოვის ევროპული პოლიტიკის შედარებით ანალიზს.

კვლევაში გამოყენებულია, თვისებრივი კვლევის მეთოდები - შედარებითი ანალიზის მეთოდი და ექსპერტების სიღრმისეული ინტერვიუ.დასკვნაში გადმოცემულია,ევროკავშირის სამეზობლო პოლიტიკის სავარაუდო პერსპექტივები და რეკომენდაციები ამ ქვეყნების მიმართ.

Annotation

The master's thesis concerns the EU Neighborhood Policy with Post Soviet Countries - Armenia, Georgia, Moldova Azerbaijan, Belarus and Ukraine,

In the study, the focus is focused on the stages and essence of this policy, the methods and forms of partnership, its impact on the social, economic and political situation of the countries. Discusses and documents that are designed to democratize political systems and to share European values by these countries. Particular attention is paid to the European Neighborhood Policy in the South Caucasus region and the motivation of different political choices in the three countries of the region as well as the European policy of Ukraine, Belarus and Moldova.

The research uses methods of qualitative research - a method of comparative analysis and an in-depth interview of experts. The conclusion is that the EU's Neighborhood Policy Prospects and Recommendations to these countries.

Student- **Mikheil Kiknadze**

ს ა რ ჩ ე ვ ი

შესავალი..... 5 გვ.

თავი 1. ევროკავშირის ევროინტეგრაცია და სოციალურ-პოლიტიკური პროცესები .....8 გვ.

1.1.ევროინტეგრაციის ისტორიული ეტაპები და თეორიული ჩარჩო.....8 გვ.

1.2. ევროკავშირის სამეზობლო პოლიტიკა და მისი არსი..... 15 გვ.

1.3. ევროკავშირის პარტნიორობა და ხელშეკრულებები.....17გვ.

თავი 2. ევროკავშირის სამეზობლო პოლიტიკის ძირითადი ეტაპები პოსტსაბჭოთა ქვეყნის სივრცესთან .....22 გვ.

2.1 სამხრეთ კავკასიის ქვეყნები და აღმოსავლეთ პარტნიორობის პროცესი.....22 გვ.

2.2 საქართველო მოლდოვა, უკრაინა, ბელორუსია, სამეზობლო პოლიტიკა.....26გვ.

თავი 3. სამეზობლო პოლიტიკის შედეგები და პერსპექტივები.....42 გვ.

3.1. ევროპული სამეზობლო პოლიტიკის განხორციელების გზები.....42გვ.

3.2. ექსპერტთა შეხედულებები პოსტსაბჭოთა ქვეყნების ევროკავშირის სამეზობლო პოლიტიკაში მონაწილეობის შესახებ.....44 გვ.

დასკვნა.....66 გვ.

გამოყენებული ლიტერატურის ბიბლიოგრაფიული ნუსხა .....68 გვ.

დანართი.....72 გვ.

შ ე ს ა ვ ა ლ ი

თემის აქტუალობა

ევროკავშირი შეიქმნა ევროპული ქვეყნების გასაერთიანებლად, იგი დღეს-დღეობით წარმოადგენს ერთ-ერთ უდიდეს პოლიტიკურ და ეკონომიკურ გაერთიანებას და არის მნიშვნელოვანი მონაწილე გლობალური პოლიტიკიკისა და გააჩნია გავლენის სფეროები მსოფლიოს მასშტაბით. ასეთ მდგომარეობას ევროკავშირი იყენებს თავისი პოლიტიკური და გეოსტრატეგიული მიზნების განსახორციელებლად მსოფლიოს მასშტაბით. გაერთიანება დაარსების დღიდან არის ლიდერი პოლიტიკურ-ეკონომიკური თვალსაზრისით.

აღმოსავლეთ პარტნიონორბის პროცესი მნიშვნელოვანია პოსტსაბჭოთა ქვეყნებისათვის, რაც გულისხმობს პარტნიორ ქვეყნებში მიმდინარე პოლიტიკურ-სოციალური თუ ეკონომიკური რეფორმების მხარდაჭერას.

საკვლევი კითხვები:

1. რამ განაპირობა აღმოსავლეთ პარტნიორობის თანამშრომლობის დაწყება?

2. რამდენად წარმატებულია აღმოსავლეთ პარტნიორობის თანამშრომლობის პროცესი?

3. რა უშლის ხელს ევროკავშირის სამეზობლო პოლიტიკის გატარებას პოსტსაბჭოთა ქვეყნებში?

თემის ჰიპოთეზა

ევროინტერგრაციის პროცესი მნიშვნელოვანია პოსტსაბჭოთა ქვეყნებისათვის. ისინი დაინტერესებული არიან გახდნენ ევროპული ოჯახის

სრულუფლებიანი წევრები. ამ გაზაზე ძალიან მნიშვნელოვანია ამ თანამშრომლობის მექანიზმი, რაც ხელს უწყობს პოსტსაბჭოთა ქვეყნებს ევროკავშირთან დაახლოებას. აღნიშნულ პროცესში არის ისეთი წინააღმდეგობები, როგორიცაა რუსეთის პოლიტიკა, ევროკავშირში ერთიანი კონსენსუსის არარსებობა, არსებული არაეფექტური ფორმატი, რომელიც საჭიროებს უფრო მოქნილი მექანიზმებით ჩანაცვლებას.

ნაშრომის მიზანი და ამოცანა

ნაშრომის ამოცანაა აქტუალური პროცესების განხილვა, რომელიც მიმდინარეობს ევროკავშირის სამეზობლო პოლიტიკაში პოსტსაბჭოთა ქვეყნების მიმართ და დღეს-დღეობით არსებული სირთულეების განხილვა, გავიგოთ რა როლს ასრულებს ევროკავშირის პოლიტიკა და აღმოსავლეთ პარტნიორების პროცესი ევროინტერგრაციის გზაზე.

კვლევის მეთოდოლოგიურ ჩარჩოს წარმოადგენს ინტეგრაციის თეორია, ერძოდ, ევროინტეგრაციის თეორია

კვლევის მეთოდი

- თემის დამუშავების დროს გამოყენებული სავარაუდო მეთოდოლოგია არსებული თეორიული მასალის განხილვა, ანალიზი და დასკვნების გამოტანა;
- შემთხვევის გარჩევა Case study- დაგვეხმარება რეალური ფაქტების უკეთ ანალიზში;
- ნაშრომის დამუშავებისას გამოყენებული მეთოდოლოგია ძირითადად დაეფუძვნება ემპირიული კვლევის საფუძვლებს;
- თვისობრივი კვლევის მეთოდები:
- მონაცემთა ანალიზი;

- ინტუიტიურ-ლოგიკური მეთოდი. რომელიც ითვალისწინებს სამეცნიერო ნაშრომის გამოცემაში ესსეის სახით;
- ისტორიულ-აღწერილობითი
- პოლიტიკის კვლევის ანალიზი;
- კონტენტ ანალიზი.

ნაშრომის თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა

თეორიულად ჩვენი სამაგისტრო ნაშრომი შესაძლოა გამოვიყენოთ სალექციო კურსის ჩასატარებლად ან მის დამხმარედ;

პრაქტიკულად კი ექსპერტთა ანალიზი და ის რეკომენდაციები, რომლებიც შევიმუშავეთ,ნებისმიერ დაინტერესებულ პირს შეიძლება გამოადგეს.

ლიტერატურის მიმოხილვა

Pierre de Senarclens et Yohan Ariffn ,,LA POLITIQUE INTERNATIONALE" Théories et enjeux contemporains Cinquième edition - Armand Colin, Éditeur, 2008. ავტორები თავიანთ ნაშრომში საერთაშორისო პოლიტიკას განიხილავენ ისტორიის მსვლელობის განმსაზღვრელად და ხალხების მომავლის მრავალმხრივ წარმმართველად. არც ერთ სახელმწიფოს არ შეუძლია მარტომ იტვირთოს საკუთარი უსაფრთხოება და დამოუკიდებლობა. ბირთვული, ბიოლოგიური და ქიმიური იარაღის ეპოქაში კაცობრიობის მომავალი ძლიერ სახელმწიფოთა შორის მშვიდობის შენარჩუნებაზეა დამოკიდებული.

Tom Nichols Douglas Stuart Jeffrey D. McCausland: TACTICAL NUCLEAR WEAPONS AND NATO - Editors , April 2012. ავტორები მოცემულ წიგნში აღნიშნევენ - ტაქტიკური ბირთვული იარაღის მომავალის როლს ევროპაში - ეს არის ის საკითხები, რომლებიც ზოგჯერ საერთაშორისო უსაფრთხოების საკითხებში, ექსპერტების გაკვირვებას იწვევს, პირველ რიგში იმიტომ, რომ ამ

იარაღის არსებობას ხშირად სიგიჟედ აღიქვამენ. ძირითადად საუბარია ,,ცივი ომი“-ს შემდგომ ტაქტიკური ბირთვული იარაღის (ან NSNWs, "არა-სტრატეგიული ბირთვული იარაღი") ჯერ კიდევ არსებობაზე, რადგან ნატოსა და რუსეთს შორის არის მოსალოდნელი ურთიერთოების დაძაბვა და ასევე რიგი სხვა ბირთვული სახელმწიფების გაუწონასწირებელი პოლიტიკა, რამაც შეიძლება გამოიწვიოს ბირთვული ომის საშიშროება.

თავი I. ევროკავშირის ევროინტეგრაცია და სოციალურ-პოლიტიკური პროცესები

1.1. ევროინტეგრაციის ისტორიული ეტაპები და თეორიული ჩარჩო

პირველი თეორიისთვის აუცილებელი იყო, თუ როგორ თავიდან იქნას აცილებული ერის სახელმწიფოებს შორის ომები. ფედერალიზმი და ფუნქციონალიზმი შემოთავაზებულ იქნა ერის სახელმწიფოების შეკავებაზე, ხოლო ტრანსაქციალიზმი ერ-სახელმწიფოებრივი სისტემის სტაბილიზაციის პირობების თეორიას ითხოვდა.

ევროპული ინტეგრაციის ერთ-ერთი ყველაზე გავლენიანი თეორია ნეფუნქციონალიზმია, რომელიც ერნსტ ბ-ჰასის (1958) მიერ შემუშავდა და ლეონ ლინდბერგის (1963) შემსწავლელი. ეს თეორია ფოკუსირებულია ინტეგრაციის გაფართოებაზე, რაც უფრო მეტ ინტეგრაციას იწვევს. ამის საპირისპიროდ, სხვა დიდი გავლენიანი თეორია ინტეგრაციის კვლევებში, ლიბერალური მთავრობათაშორისიზმი, გულისხმობს სახელმწიფოს მიერ შეღავათებით ვაჭრობას. ეს თეორია 1990-იან წლებში ანდრია მორკსკიკმა შეიმუშავა, სტენლი ჰოფმანი და სხვათა მთავრობათაშორისი მუშაობის შესახებ. ის ძალიან გავლენიანია. [10] ნეოფუნქციონალიზმსა და ლიბერალურ მთავრობათაშორისობას შორის მნიშვნელოვანი დებატები კვლავ რჩება ცენტრალური ინტეგრაციის განვითარების და ნაკლოვანებების გააზრებაში.

როგორც ემპირიული სამყარო შეიცვალა, ასე აქვს თეორიები და ამით ევროპული ინტეგრაციის გაგება. დღეს არის შედარებით ახალი ყურადღება

ევროკავშირში რთული პოლიტიკის შემუშავებისა და მრავალმხრივი მმართველობის შესახებ (MLG), რომელიც ცდილობს შექმნას ევროკავშირის მუშაობისა და განვითარების თეორია.

2016 წლის კვლევის თანახმად, ევროპული ინტეგრაცია ღრმავდება "ვერც ერთი ნაბიჯით" თავრობათაშორისი ვაჭრობა იწვევს შეუსაბამობას იმიტომ, რომ ეს ძალები მრავალფეროვან პრეფერენციებს ითვალისწინებენ ყველაზე დაბალი საერთო დენომინატორის გადაწყვეტილებებზე. შეუსაბამობა მაშინ გაანალიზებს იმ ძალებს, რომლებიც კრიზისს გამოიწვევს. წევრი სახელმწიფოები კვლავ უპასუხებენ ყველაზე დაბალი საერთო დენომინატორის გადაწყვეტილებებს, რომლებიც კრიზისულს მიმართავენ და უფრო ღრმა ინტეგრაციას იწვევს. დღეისათვის, ამ პერიოდის რეფორმის რიგითი ციკლი, რასაც მოჰყვა პოლიტიკის უკმარისობა, შემდგომი რეფორმა, მოახერხა როგორც ევროპული პროექტი, ასევე საერთო ვალუტა.დღეს ევროკავშირის წევრები ყოფილი სოციალისტური ბლოკის სახელმწიფოებიც არიან და მათი მიღწევები დემოკრატიის გზაზე, საკმაოდ თვალშისაცემი და მისაბაძია, განსაკუთრებით ისეთი ქვეყნისთვის, რომელსაც მსგავსი ისტორიული გამოცდილება გააჩნია.ჩვენ შემთხვევაში, საქართველოსთვის, სადაც მმართველობის სადავეებს, პროევროპულად განწყობილი ძალები იღებენ.მართლაც, 1918-21 წლებში მაშინდელი ხელისუფლების მიერ განსაზღვრული საგარეო პოლიტიკური კურსი, დღესაც პრიორიტეტულია და თავისუფლად შეიძლება ითქვას, რომ მაშინდელი ერთა ლიგა, ფაქტობრივად დღევანდელი ევროკავშირის ტოლფასია, რომელში გასაწევრიანებლადაც კვლავ აქტიური დიპლომატიური ურთიერთობები იწარმოება ევროპულ სახელმწიფოებთან.სამწუხაროა, მაგრამ საქართველომ, როგორც დამოუკიდებელმა რესპუბლიკამ, რუსეთის ჩარევით, მხოლოდ სამი წელი მოახერხა არსებობა და ამ სამ წელშიც კი საქართველოს დასავლურ მისწრაფებებზე მეტყველებდა ქვეყნის კონსტიტუციურ საფუძვლებზე მოწყობისა და დემოკრატიული პრინციპებით მართვის მცდელობა.1921 წლის 21 თებერვალს მიღებულ იქნა მსოფლიოს მასშტაბით ერთ-ერთი ყველაზე

ლიბერალურ და დემოკრატიულ ღირებულებებზე დაფუძნებული კონსტიტუცია, რომელიც ითვალისწინებდა პლურალიზმს და შესაბამის ნორმებზე დაყრდნობით დაიცავდა ადამიანის ძირითად უფლებებს უმცირესობათა ღირსეული განვითარების პრეროგატივით.
საქართველო, რუსეთის ორგზის ბატონობიდან თავის დაღწევის შემდეგ, ახლა XXI საუკუნის პირველ მეოთხედში ისევ დადგა ისტორიული მნიშვნელობის გზაჯვარედინზე : ევროკავშირი თუ ევრაზიული კავშირი.იმაზე თუ როგორ არჩევანს გააკეთებდნენ სახელისუფლებო ძალები, მნიშვნელოვნად იყო დამოკიდებული ჩვენი ქვეყნის მომავალი.დღეს ისევ საინტერესოა, გახდება თუ არა ბოლოს და ბოლოს საქართველო ევროპული ოჯახის ღირსეული წევრი, განვითარებული დემოკრატიით თუ კვლავ მოექცევა რუსეთის იმპერიალისტური მისწრაფებებით შექმნილ მორიგ გაერთიანებაში.რუსეთის ზეგავლენის უგულებელყოფა და თვალის დახუჭვა იმაზე, თითქოს მისგან აღარანაირი საფრთხე არ მომდინარეობს და ადვილად შეეგუება საქართველოს ევროკავშირში გაწევრიანებას, დამეთანხმებით აბსურდია.
მართალია 27 ივნისს, ასოცირების ხელშეკრულებაზე ხელმოწერის შემდეგ საქართველოს მიეცა ყველაზე რეალური შანსი გაწევრიანდეს ევროკავშირში, მაგრამ ისიც უნდა გვახსოვდეს, რომ ეს იმაზეა დამოკიდებული, თუ როგორი საშინაო და საგარეო პოლიტიკა გატარდება.ამ მხრივ დასაფასებელია ხელისუფლების ზოგიერთი საქმიანობა, რომელიც ასევე დადებითად შეფასდა ევროპელი პარტნიორების მხრიდან, მაგრამ აუცილებელია მოსახლეობამ ამ პროცესებს თვალყური ადევნოს, რათა გამოირიცხოს არჩეული კურსიდან თუნდაც უმნიშვნელო გადახვევაც კი.
საქართველო ირჩევს ევროპას იმისთვის, რომ დაიმკვიდროს ადგილი საერთაშორისო ასპარეზზე, პატივი სცენ ქვეყნის ტერიტორიულ მთლიანობას, ააშენოს დემოკრატია, დაიცვას ადამიანის უფლებები და თავისუფლებები, განავითაროს ეკონომიკური მდგომარეობა და დაამკვიდროს საერთაშორისო სტანდარტები, როგორც პოლიტიკაში ისე ყველა სფეროში.საქართველო

იქნება არა დაქვემდებარებული, არამედ ყველა ევროპული სახელმწიფოს თანასწორი ამ კავშირში.ევროკავშირის სტრუქტურა გამოირჩევა მართვის დემოკრატიული და გამჭვირვალე მეთოდებით და მისი ყველა სიკეთე აისახება ქვეყნის მომავალზე. ხოლო რაც შეეხება ევროკავშირის ალტერნატივას „ევრაზიულ კავშირს“ .ეს არის რუსეთის მორიგი მცდელობა თავისი გავლენის ქვეშ მოაქციოს მის მიერვე დასუსტებული სახელმწიფოები და როგორ წარმოგიდგენიათ ავტორიტარი მმართველის მიერ მართულ ორგანიზაციაში ჩამოყალიბებული დემოკრატიული სტანდარტების ნამდვილობა.რუსეთის მიზანმიმართული პოლიტიკა ევროკავშირის წინააღმდეგ ვიხილეთ უკრაინაში განვითარებული მოვლენების დროს, რაც ერთგვარი შემოძახილია საქართველოსთვის, რომ გადადგას უფრო სწორი და ფრთხილი ნაბიჯები ევროკავშირში გასაწევრიანებლად.[1]

საუკუნეების განმავლობაში, ევროპის კონტინენტმა, მრავალი სისხლისმღვრელი ომი იხილა. მეორე მსოფლიო ომმა კი ევროპას არა მხოლოდ მილიონობით დაღუპული მოქალაქე, არამედ განადგურებული ეკონომიკა და მყიფე უსაფრთხოება მოუტანა. ნათელი იყო, რომ ქვეყნებს შორის მშვიდობის უზრუნველყოფა მხოლოდ ეკონომიკური და პოლიტიკური ინტეგრაციის მეშვეობით იქნებოდა შესაძლებელი.

ევროპული ინტეგრაციის იდეა პირველად დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრმა, უინსტონ ჩერჩილმა წამოაყენა. მან 1946 წლის 19 სექტემბერს ციურიხში,სიტყვით გამოსვლისას, ევროპის შეერთებული შტატების შექმნის აუცილებლობაზე ისაუბრა. აღნიშნულ იდეას, მაშინ განვითარება არ მოჰყოლია.

ევროპული ინტეგრაციის საწყისად შეიძლება ჩაითვალოს 1950 წელი, როდესაც საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა რობერტ შუმანმა,

[1] კაპანაძეს ს., ევროკავშირის პოლიტიკა, თბილისი 2006. გვ.4

გაახმოვანა ფრანგი პოლიტიკოსის, ჟან მონეს ინიციატივა - გაერთიანებულიყო დასავლეთ ევროპის ნახშირის და ფოლადის საბადოები.

შედეგად, 1951 წელს შეიქმნა ევროპის ქვანახშირისა და ფოლადის გაერთიანება (Europeam Coal and Steel Community), რომელშიც შევიდა ექვსი სახელმწიფო - ბელგია, დასავლეთ გერმანია, ლუქსემბურგი, საფრანგეთი, იტალია და ნიდერლანდები. გადაწყდა, რომ შექმნილიყო დამოუკიდებელი,ზეეროვნული ორგანო, ე.წ. ,,უმაღლესი ხელისუფლება" (High Authority), რომელიც განაგებდა ამ ქვეყნებში ნახშირისა და ფოლადის წარმოებასთან და რეალიზაციასთან დაკავშირებულ საკითხებს. [2]

უმაღლესი ხელისუფლების პირველ პრეზიდენტად დაინიშნა ჟან მონე. 1953 წელს შეიქმნა რკინის, ნახშირის, მადნეულის და ჯართის საერთო ბაზარი; იმავე წელს, ცოტა მოგვიანებით, შეიქმნა ფოლადის საერთო ბაზარიც.

ორი წლის შემდეგ, იტალიის ქალაქ მესინაში ექვსი ქვეყნის საგარეო საქმეთა მინისტრები შეთანხმდნენ, რომ გაეგრძელებინათ ინტეგრაციის პროცესი (ცნობილია მესინის ინიციატივის სახელით). შეიქმნა სამთავრობათაშორისო კომიტეტი, რომელმაც მოამზადა საფუძველი რომის ხელშეკრულებისათვის, რის შედეგადაც საფუძველი დაედო „ევროპის ეკონომიკური გაერთიანებას". რომის ხელშეკრულების მნიშვნელოვანი ასპექტი იყო შეთანხმება საერთო ბაზრის შექმნის თაობაზე, რასაც მომავალში საბაჟო კავშირის ჩამოყალიბება უნდა მოჰყოლოდა. საერთო ბაზარი ითვალისწინებდა ევროგაერთიანების წევრ ქვეყნებს შორის ბარიერების გაუქმებას საქონლის, მომსახურების, კაპიტალისა და ადამიანების გადაადგილების კუთხით. რომის ხელშეკრულებამ საფუძველი ჩაუყარა, აგრეთვე,

[2] იქვე, გვ.34

საერთო სოფლის მეურნეობისა და საგარეო ვაჭრობის პოლიტიკის ჩამოყალიბებას.

რომში, ცალკე ხელშეკრულებით დაარსდა ევროპის ატომური ენერგიის გაერთიანება, ე.წ. „ევრატომი“, რომლის მიზანსაც წარმოადგენდა ევროპაში ატომური ენერგიის საერთო ბაზრის შექმნა, კერძოდ: ატომური ენერგიის ინდუსტრიის განვითარება, ენერგიის გადანაწილება გაერთიანების წევრ სახელმწიფოებზე და დარჩენილი რესურსის მიყიდვა არაწევრი ქვეყნებისთვის.

1967 წელს, ბრიუსელის ხელშეკრულებით, მოხდა ზემოხსენებული სამი ორგანიზაციის: ევროპის ნახშირისა და ფოლადის გაერთიანების, ევროპის ეკონომიკური გაერთიანებისა (შემდგომში ევროგაერთიანება) და „ევრატომის“ აღმასრულებელი ორგანოების - კომისიისა (შემდგომში ევროპული კომისიის) და საბჭოს გაერთიანება ერთ ინსტიტუციურ სისტემაში, რომელსაც „ევროპული გაერთიანებები“ ეწოდა. [3]

1960-74 წლებში დასავლეთ ევროპაში ეკონომიკური აღმავლობის პერიოდი იყო. ამ ხნის განმავლობაში მომხმარებლების მსყიდველობითი უნარი გაიზარდა თითქმის ორჯერ. ევროპის ეკონომიკურმა გაერთიანებებმა ამ ხნის მანძილზე რამდენიმე სახის რეფორმა განახორციელა; დაიწყო საერთო აგრარული პოლიტიკის განვითარება და სხვა ეკონომიკური ინტეგრაციული პროცესები. ასეთმა წარმატებამ, თავის მხრივ, დიდი ბრიტანეთიც დააინტერესა, რომელმაც დაიწყო სურვილის გამოთქმა შეერთებოდა ეკონომიკურ გაერთიანებებს. პირველი განაცხადი გაერთიანებებში შესვლაზე პრემიერმინისტრმა მაკმილანმა 1961 წელს შეიტანა. მიუხედავად საფრანგეთის პრემიერ-მინისტრ პომპიდუს დადებითი

[3] ჩიტაძენ, გეოპოლიტიკა, თბილისიგამომცემლობა“უნივერსალი“ 2011. გვ254.

დამოკიდებულებისა, საფრანგეთის პრეზიდენტმა შარლ დე გოლმა ვეტო დაადო ბრიტანეთის მიღებას ევროპულ გაერთიანებებში. ამგვარი ქმედება გამოწვეული იყო 1963 წელს ამერიკის შეერთებული შტატების მიერ ბრიტანეთისათვის პოლარისის ტიპის წყვალქვეშა რაკეტის მიყიდვით.

დეგოლი მთელი ამ ხნის განმავლობაში აცხადებდა, რომ ბრიტანეთი არ იქცეოდა როგორც ჭეშმარიტი ვეროპელი. სხვათაშორის, დეგოლის სიჯიუტეს შეეწირა მაკმილანის პოლიტიკური კარიერა, რომელმაც დაკარგა რეიტინგი და პრემიერმინისტრის პოსტი დეგოლის უარის შემდეგ.

ევროპის ეკონომიკური გაერთიანებების წარმატება ძირითადად ეფუძნებოდა მუდმივ კომპრომისებს წევრ-სახელმწიფოებს შორის. შესაბამისად, 60-იანი წლების დასაწყისში მომწიფდა საჭიროება ხმების უმრავლესობით გადაწყვეტილებების მიღებაზე გადასვლისა. დეგოლისათვის ეს საფრანგეთზე სხვა ქვეყნების ინტერესების თავზე მოხვევის და სუვერენიტეტის შელახვის ტოლფასიიყო, ამიტომ მან შეიმუშავა ე.წ. ,,ცარიელისკამის" პოლიტიკა, რის შედეგად 1965 წლის ყველა შეხვედრაზე საფრანგეთის სკამი მინისტრთა საბჭოს სხდომაზეცარიელი იყო. შესაბამისად, შეუძლებელი გახდა მთელი რიგი საკითხების განხილვა და მიღება, რამაც მნიშვნელოვნად შეაფერხა ინტეგრაციის პროცესი. ეს კრიზისი საბოლოოდ გადაწყდა 1966 წელს, როდესაც მიღწეული იქნა ე.წ. ლუქსემბურგის კომპრომისი, რომლის შედეგად ევროპული გაერთიანებების წევრ სახელმწიფოებს მიენიჭათ უფლება ვეტო დაედოთ ისეთი საკითხებისათვის, რომლებიც უშუალოდ ლახავდა მათ ეროვნულ ინტერესებს.

ბრიტანეთის ახალმა პრემიერ-მინისტრმა ჰაროლდ უილსონმა მეორედ შეიტანა წევრობის განაცხადი 1967 წელს, თუმცა ორი დღის შემდეგ დეგოლმა ექსკლუზიურად ამ საკითხისათვის მიძღვნილ პრესკონფერენციაზე განაცხადა, რომ დიდი ბრიტანეთის ევროპის ეკონომიკურ გაერთიანებებში შესვლა დიდ სიძნელეებთან იქნებოდა დაკავშირებული. მიუხედავად ასეთი განცხადებისა

ბრიტანეთის პარლამენტმა მხარიდაუჭირა ფორმალური განაცხადის შეტანას, თუმცა, როგორც მოსალოდნელი იყო დეგოლმა ვეტო დაადო ბრიტანეთის აპლიკაციას. ამასთან, საფრანგეთის პრეზიდენტმა მოხაზა ძირითადი კრიტერიუმები, რომლებიც ბრიტანეთს უნდა შეესრულებინა კავშირში შესვლისათვის. ამ კრიტერიუმებში შედიოდა ამერიკის შეერთებულ შტატებთან განსაკუთრებული ურთიერთობების მოშლა, ფუნტისტერლინგის არეალის დატოვება და დემონსტრირება, რომ ბრიტანეთი მართლაც ,,კეთილსინდისიერი ევროპელი" იყო. ბუნებრივია, რომ ეს მოთხოვნები ბრიტანეთმა არ შეასრულა.

1992 წელს, მაასტრიხტის ხელშეკრულების საფუძველზე ევროპულ გაერთიანებებს "ევროკავშირი" ეწოდა.[4]

ევროკავშირი დღეისათვის 28 დემოკრატიული სახელმწიფოს უნიკალური პოლიტიკური და ეკონომიკური გაერთიანებაა, რომელიც მიზნად ისახავს მშვიდობის, კეთილდღეობისა და თავისუფლების უზრუნველყოფას თავისი 500 მილიონზე მეტი მოქალაქისთვის.

2016 წელს დიდ ბრიტანეთში ჩატარდა რეფერენდუმი, ხალხმა მხარი დაუჭირა ბრიტანეთის გასვლას ევროკავშირიდან. თუმცა ეს ყველაფერი საჭიროებს პარლამენტის მხრიდან რატიფიკაციას, რაც დროში გაწელილი პროცესია.

1.2 ევროკავშირის სამეზობლო პოლიტიკა და მისი არსი

[4] გაჩეჩილაძე რ, ევროინტეგრაციის პროცესი სამხრეთ კავკასიაში, თბილისი, 2013. გვ.1.

ევროპული სამეზობლო პოლიტიკა (ENP) ევროკავშირის სამხრეთით და აღმოსავლეთით მდებარე მეზობელ ქვეყნებთან თანამშრომლობის ძირითად მექანიზმს წარმოადგენს. სამეზობლო პოლიტიკის მიზანია, ევროკავშირსა და მის მეზობელ ქვეყნებს შორის პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული ურთიერთდ აახლოების პროცესის მხარდაჭერა, რაც დემოკრატიის, სტაბილურობისა და კეთილდღეობის გავრცელებით, ერთიანი და თავისუფალი ევროპის იდეის განხორციელებას ემსახურება.

ევროკავშირის სამეზობლო პოლიტიკა 2004 წელს, ევროკავშირში ახალი წევრი სახელმწიფოების მიღების შემდგომ შემუშავდა მეზობელ სახელმწიფოებთან გამყოფი ხაზების თავიდან აცილებისა და აღნიშნულ სივრცეში სტაბილურობის, უსაფრთხოებისა და კეთილდღეობის მხარდაჭერის მიზნით.

ევროპულ სამეზობლო პოლიტიკაში 16 ქვეყანაა (ალჟირი, აზერბაიჯანი, ბელორუსი, ეგვიპტე, იორდანია, ისრაელი, ლიბანი, ლიბია, მოლდოვა, მაროკო, პალესტინა, საქართველო, სირია, სომხეთი, ტუნისი, უკრაინა) ჩართული. აქედან, 12 ქვეყანა სრულად მონაწილეობს სამეზობლო პოლიტიკაში, ხოლო 4 ქვეყნის (ალჟირი, ბელარუსი, ლიბია, სირია) მონაწილეობა ვრცელდება სამეზობლო პოლიტიკის ცალკეულ მექანიზმებზე.

ევროპული სამეზობლო პოლიტიკა ორმხრივი მფლობელობის პრინციპს ეფუძნება, რაც ევროკავშირისა და სამეზობლო პოლიტიკის მონაწილე ცალკეული სუბიექტის მხრიდან გარკვეულ ქმედებებს გულისხმობს. პოლიტიკის მიზნების განხორციელებას ხელს უწყობს ევროპული საგარეო ქმედების სამსახური, რომელიც ეხმარება ევროკავშირის საგარეო და უსაფრთხოების უმაღლეს წარმომადგენელს და ევროკომისიონერს, რომელიც უშუალოდ ევროპული სამეზობლო პოლიტიკისა და გაფართოების საკითხებს კურირებს.[5]

[5] ლაზარაშვილი ე. ,,სამხრეთკავკასიის პრობლემები და გამოწვევები“, თბილისი-2014. გვ. 34

ევროკომისიის მიერ ევროკავშირის სამეზობლო პოლიტიკის განხორციელება მის მეზობელ ქვეყნებთან თანამშრომლობით მომზადებული, ქვეყნის ან რეგიონის მიმართ შემუშავებული სტრატეგიული სამოქმედო გეგმების საფუძველზე ხორციელდება. აღნიშნულ სამოქმედო გეგმებში ევროკომისია განსაზღვრავს იმ პოლიტიკურ და ეკონომიკურ პარამეტრებს, რომლის საფუძველზეც მიმდინარეობს მოცემული ქვეყნის მიერ მიღწეული პროგრესის შეფასება.

სამოქმედო გეგმა სამეზობლო ინიციატივის ყველა ქვეყანასთან ურთიერთობაში საერთო პრინციპებს ეყრდნობა, თუმცა მისი შინაარსი განსხვავდება მოცემულ ქვეყანასთან თანამშრომლობის არსებული დონის, ქვეყნის საჭიროებებისა და საერთო ინტერესების შესაბამისად. სამოქმედო გეგმის განხორციელების პროცესის მონიტორინგს ევროკავშირის სპეციალური კომისია და ევროკავშირის საგარეო ქმედებათა სამსახური (European External Action Service) ახორციელებს, ხოლო, წელიწადში ერთხელ ევროკავშირი აქვეყნებს სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიშს.

ევროპული სამეზობლო პოლიტიკა ეფუძნება რიგი ღონისძიებების განხორციელებასა და მჭიდრო თანამშრომლობას შემდეგი მიმართულებებით:

1. ფინანსური დახმარება - ევროპული სამეზობლო პოლიტიკის ფარგლებში ცალკეული ქვეყნებში შესაბამისი პროექტების დასაფინანსებლად 2007-2013 წლებში გამოიყო 12 მილიარდი ევრო;
2. ეკონომიკური ინტეგრაცია და ევროკავშირის ბაზარზე დაშვება;
3. ევროკავშირთან სავიზო რეჟიმის გამარტივება;
4. სამეზობლო პოლიტიკის მონაწილე ქვეყნების ტექნიკური და საჯარო პოლიტიკის ცალკეულ სფეროებში რეფორმების მხარდაჭერა.

ევროპული სამეზობლო პოლიტიკა, ასევე, ხორციელდება მრავალმხრივი თანამშრომლობის შემდეგ ფორმატებში: „აღმოსავლეთ პარტნიორობა", ევრო-ხმელთაშუა ზღვის პარტნიორობა, შავი ზღვის სინერგია.

1.3 ევროკავშირის პარტნიორობა და ხელშეკრულებები

„აღმოსავლეთპარტნიორობის“ (Eastern Partnership - EaP) წინადადება, როგორც ევროკავშირის აღმოსავლეთ მეზობელ ქვეყნებთან (აზერბაიჯანი, ბელარუსი, მოლდოვა, საქართველო, სომხეთი, უკრაინა) თანამშრომლობის ახალი ფორმატი, თავდაპირველად შვედეთისა და პოლონეთის მიერ იყო შემუშავებული.

2008 წლის აგვისტოში საქართველოში განხორციელებულმა რუსეთის სამხედრო ინტერვენციამ გამოიწვია აღნიშნული პროცესის დაჩქარება და გარკვეულწილად განაპირობა კიდეც ამ ინიციატივისადმი ევროკავშირის დადებითი გამოხმაურება. შესაბამისად, 2008 წლის დეკემბერში, ევროკომისიას დაევალა ამ ინიციატივასთან დაკავშირებული წინადადებების წარდგენა.

ევროკომისიამ „აღმოსავლეთ პარტნიორობის“ შესახებ კომუნიკაცია 2008 წლის 3 დეკემბერს გამოაქვეყნა, რომელიც 2009 წლის 19 მარტს ევროპული საბჭოს სხდომაზე დამტკიცდა.

„აღმოსავლეთპარტნიორობა“ არ არის ევროკავშირში გაწევრიანები სპერსპექტივის ალტერნატივა, არამედ ის, ორმხრივი და მრავალმხრივი თანამშრომლობის გზით, ხელს უწყობს პარტნიორი ქვეყნების ევროკავშირში ინტეგრაციის პროცესის გაღრმავებას, საერთო ფასეულობების გავრცელებას, რეგიონში უსაფრთხოების გაძლიერებასა და ეკონომიკურ განვითარებას.

„აღმოსავლეთპარტნიორობის“ სამიტი ორ წელიწადში ერთხელ იმართება, რომლის ძირითად მიზანს პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღება წარმოადგენს.

ევროკომისიის მიერ შემუშავებული „აღმოსავლეთპარტნიორობის“ ინიციატივის მთავრი მიზანია,ევროპული სამეზობლო პოლიტიკის (ENP) განხორციელების ხელშეწყობა, თუმცა მოცემული ინიციატივა უფრო შორს მიდის და პარტნიორ ქვეყნებს ევროკავშირთან უფრო მეტად დაახლოების მიზნით კონკრეტულ პერსპექტივებს სთავაზობს.

ორმხრივი თანამშრომლობის საბოლოო მიზანია, ფართო პოლიტიკური და სამართლებრივი ჩარჩოს შექმნა და პარტნიორი ქვეყნების ევროკავშირთან თანამშრომლობის კიდევ უფრო გაღრმავება. ორმხრივი თანამშრომლობა, ევროკავშირსა და თითოეულ პარტნიორ ქვეყანას შორის, თანამშრომლობის შემდგომ გაღრმავებას ითვალისწინებს, რაც მოიცავს:

1. ახალი, უფრო ფართო საკონტრაქტო ურთიერთობების ჩამოყალიბებას პარტნიორობისა და თანამშრომლობის შესახებ შეთანხმებასთან (PCA) შედარებით გაღრმავებული შეთანხმებების - ასოცირების შესახებ ხელშეკრულებების (Association Agreements) გაფორმების გზით, რომლებიც უპასუხებს თითოეული პარტნიორი ქვეყნის ევროკავშირთან შემდგომი დაახლოებისკენ სწრაფვას. ეს შეთანხმებები გაფორმდება იმ ქვეყნებთან, რომლებიც მზად იქნებიან საკუთარ თავზეა იღონ შესაბამისი დონის ვალდებულებები;
2. ევროკავშირსა და პარტნიორ ქვეყნებს შორის თავისუფალი სავაჭრო ზონების შექმნას, რომლებიც დაეფუძნება თითოეულ ქვეყანასთან გაფორმებულ ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შეთანხმებებს (Deep and Comprehensive Free Trade Areas), როგორც ასოცირების შესახებ შეთანხმების განუყოფელ ნაწილს;

3. უსაფრთხო გარემოში მოქალაქეთა მობილურობის ხელშეწყობას. ამ მიზნით, ევროკავშირი პარტნიორ ქვეყნებს სავიზო რეჟიმის გამარტივებისა და რეადმისიის შესახებ ხელშეკრულებების (Visa Facilitation and Readmission Agreements) გაფორმების შესაძლებლობებს სთავაზობს. თანმიმდევრული ნაბიჯები იქნება გადადგმული უვიზო მიმოსვლის რეჟიმის დამყარებისაკენ;
4. ენერგოუსაფრთხოების გაძლიერებას, რაც ითვალისწინებს ენერგორესურსების მიწოდებასა და ტრანზიტს, ისევე როგორც, ენერგორესურსების ეფექტიანობის ამაღლებასა და ენერგიის განახლებადი წყაროების ფართო გამოყენებას.
5. „აღმოსავლეთპარტნიორობის“ შესახებ კომუნიკაცია ხაზს უსვამს ერთობლივი მფლობელობის პრინციპზე თანამშრომლობის დაფუძნების მნიშვნელობას, რაც ყველა მონაწილე მხარეზე, პასუხისმგებლობის გადანაწილებას (Joint Ownership) უწყობს ხელს.[6]

მრავალმხრივი თანამშრომლობის მიზანი კი ახალ ფორმატს უზრუნველყოფს, რომელიც საერთო ინტერესთა სფეროში თანამშრომლობისა და გამოწვევებთან გამკლავების შესაძლებლობას იძლევა. ასეთი ფორმატი, უსაფრთხოებიის, მიგრაციის, ვაჭრობისა, ისევე როგორც ტრანსპორტის, ენერგეტიკის, გარემოს დაცვისა და სხვა სფეროებში, ერთობლივი პროექტების განხორცილების გზით, რეგიონში თანამშრომლობის პროცესების განვითარებას ისახავს მიზნად.

DCFTA - ევროკავშირის შეთანხმება ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ2015 წლის აპრილში გაფორმდა სამ პოსტსაბჭოთა ქვეყანასთან - საქართველო, უკრაინა, მოლდოვა. ეს არის 3 წლიანი პროექტი, რომელიც ამ ქვეყნებში გარკვეულ რეფორმებს ითვალისწინებს.

[6] ლებანიძე ბ, საქართველოს ევროპული ინტეგრაცია: რა იქნება აღმოსავლეთ პარტნიორობის შემდეგ?, პოლიტიკის დოკუმენტი, გამოცემა 6, აპრილი,2017. გვ

ხელშეკრულება ხელს უწყობს სამი სახელმწიფოს პოლიტიკური და ეკონომიკური რეფორმის დღის წესრიგის ჩამოყალიბებას.

საგარეო სავაჭრო ბრუნვის კლებადი ტენდენცია, რომელიც საქართველოში 2016 წლის მანძილზე შეიმჩნეოდა, მოულოდნელად 2017 წლის დასაწყისში მზარდი მაჩვენებლებით შეიცვალა.

2017 წლის იანვარ-მარტში საქართველოს საგარეო სავაჭრო ბრუნვამ ევროკავშირის ქვეყნებთან 641 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, რაც წინა წლის შესაბამისი პერიოდის მაჩვენებელზე 26 %-ით მეტია(***იხ.დანართი №1***).

ეკონომიკის ექსპერტების აზრით, ეს ციფრები კიდევ ერთხელ ადასტურებს იმას, რომ ევროკავშირისბაზარი, საკმაოდ რთული ეკონომიკური ვითარების მიუხედავად, ყველაზე სტაბილური და პერსპექტიული ბაზარია დ ა საგარეო სავაჭრო ბრუნვის გაუმჯობესება საგარეო ფაქტორებს უკავშირდება.

ევროპის ენერგეტიკული თანამეგობრობა არის საერთაშორისო ორგანიზაცია, რომელიც ენერგეტიკული პოლიტიკის საკითხებზე მუშაობს. ორგანიზაცია საერთაშორისო ხელშეკრულების შესაბამისად 2005 წლის ოქტომბერში საბერძნეთში დაარსდა. ხელშეკრულება ძალაში შევიდა 2006 წლის ივლისში.

ენერგეტიკული თანამეგობრობის დამფუძნებელ ხელშეკრულების მხარეებს წარმოადგენენ ევროკავშირი და კონტრაქტის 8 ხელმომწერი ქვეყანა სამხრეთ–აღმოსავლეთ ევროპიდან და შავი ზღვის რეგიონიდან.

2016 წლის 14 ოქტომბერს, ევროპის ენეგეტიკულ თანამეგობრობაში საქართველოს გაწევრიანებაზე მინისტრთა საბჭომ თანხმობა განაცხადა. ბოსნია და ჰერცოგოვინას დედაქალაქ სარაევოში ევროპის ენერგეტიკული თანამეგობრობის წევრი ქვეყნების მონაწილეობით მიმდინარე მინისტერიალზე საქართველოს ენერგეტიკის მინისტრმა ილია ელოშვილმა (09.09.2016 - 27.11.2016

საქართველოს ენერგეტიკის მინისტრი)"ენერგეტიკული გაერთიანების დამფუძნებელ ხელშეკრულებასთან საქართველოს შეერთების შესახებ ოქმს" ხელი მოაწერა. ახლა საჭიროა პარლამენტისგან რატიფიკაცია, რის შემდეგაც საქართველო ენერგეტიკული თანამეგობრობის სრულუფლებიანი წევრი გახდება.

ევროპის ენერგეტიკულ თანამეგობრობაში გაწევრიანება და შესაბამისი საკანონმდებლო ჩარჩოს გადმოტანა და განხორციელება დააჩქარებს საქართველოში: თანამედროვე და კონკურენტუნარიანი ენერგეტიკის სექტორის ჩამოყალიბებას, მის

· ფინანსურ მდგრადობასა და მომხმარებელთა გაზრდილ უფლებებს (ძლიერი დამოუკიდებელი მარეგულირებელი, გამჭვირვალე და ხარჯზე დაფუძნებული ტარიფი, განცალკევება და ქსელზე ხელმისაწვდომობა); გამჭვირვალობის ზრდასა და კორუფციის შემცირებას სექტორში;

· გარე და შიდა ფაქტორების მიმართ ენერგეტიკული სისტემის მდგარდობას;

· ევროკავშირის გარემოს დაცვით კანონმდებლობასთან ჰარმონიზაციასა და იმპლემენტაციას;

· მდგრადი, დაბალემისიანი მწვანე ენერგეტიკული სისტემის ჩამოყალიბებას, რაც ხელს შეუწყობს მიწოდების უსაფრთხოებას - განახლებადი ენერგიი გამომუშავებისა და ენერგოეფექტურობით ენერგიის მოხმარების შემცირებას; ენერგეტიკის სექტორში ინვესტიციების შემოდინებას ევროპელი და სხვა ინვესტორებისგან, მათ შორის ევროპის საინვესტიო ბანკიდან, რაც ხელს შეუწყობს დასაქმების ზრდას, ენერგეტიკის სექტორში;

•ხანგრძლივ ვადიანი პერსპექტივის თვალთახედვით, ხელს შეუწყობს საქართველოს ინტეგრირებას მომავალ ევროპულ ენერგო ბაზარში.

თავი 2. ევროკავშირის სამეზობლო პოლიტიკის ძირითადი ეტაპები პოსტსაბჭოთა ქვეყნის სივრცესთან

ევროკავშირის აღმოსავლეთ პარტნიორობის ფორმატში თანამშრომლობენ პოსტსაბჭოთა ისეთი ქვეყნები, როგორებიცაა: საქართველო, სომხეთი,აზერბაიჯანი,უკრაინა, მოლდოვა და ბელორუსი.

განსაკუთრებით წარმატებული აღმოჩნდა აღმოსავლეთ პარტნიორობა სამი ქვეყნისთვის: მოლდოვა, საქართველო, უკრაინა. მოლდოვას უკვე სამი წელია, რაც უვიზო მიმოსვლის უფლება აქვს, საქართველომ და უკრაინამ კი ეს უფლება წელს მოიპოვეს, რაც დიდი წინ გადადგმული ნაბიჯია.

2.1 სამხრეთ კავკასიის რეგიონი

სამხრეთ კავკასიის რეგიონში მიმდინარე პროცესები განსაკუთრებული დინამიურობით ხასიათდება. ამიერკავკასია თავისი გეოპოლიტიკური მდებარეობის წყალობით უმნიშვნელოვანეს რეგიონს წარმოადგენს. იგი საკმაოდ ბევრი განსხვავებული ქვეყნის ინტერესების თანხვედრის ადგილია. აქ გადაიკვეთება არა მარტო შავი და კასპიის ზღვების აუზის ქვეყნების, არამედ ევროპის, აზიისა და ხშირად აფრიკის ქვეყნების სტრატეგიული და ეკონომიკური შეხედულებებიც. რეგიონი მრავალი ფაქტორის გათვალისწინებით სრულიად სამართლიანად მიიჩნევა (სარკინიგზო, საჰაერო და ზოგადად საკომუნიკაციო კუთხით) "დერეფნად". აქედან გამომდინარე ზოგადად კავკასიაში არსებული მდგომარეობა მნიშვნელოვან ზეგავლენას ახდენს არა მარტო მოცემული რეგიონის ქვეყნებზე, არამედ მსოფლიო ტრანსრეგიონალურ პროცესებზეც, მათ შორი სევროატლანტიკურ სივრცეში არსებულ მდგომარეობაზე. ამის ნათელი მაგალითია ნატოს გეოეკონომიკური ინტერესები რეგიონში. ორგანიზაციის მიერ განხორციელებული სხვადასხვა ღონისძიებებიც ხადყოფს, რომ კავკასია შეიძლება ნატოს "მოწინავე თავდაცვის" სტრატეგიის ტერიტორიადაც განვიხილოთ. პოლიტიკური სიტუაცია

სამხრეთ კავკასიის ქვეყანებში მუდმივად დაძაბულია, ამ დაძაბულობას ხელს უწყობს სამი ფაქტორი: გლობალური-გარეძალების რეგიონისადმი დიდი ინტერესი, შიდარეგიონალური-ტერიტორიული პრეტენზიები, სამი გაყინული კონფლიქტი და საშინაო-შიდა პოლიტიკური განვითარების უარყოფითი დინამიკა. სამხრეთ კავკასიის რეგიონის სამომავლო განვითარების ნებისმიერი გზა უშუალოდ უკავშირდება არსებული ეთნოპოლიტიკური კონფლიქტების დარეგულირების საკითხს, რომელთა შორის ყველაზე მნიშვნელოვანია მთიანი ყარაბაღის კონფლიქტი. მიუხედავად საერთაშორისო ორგანოების მცდელობისა ქვეყნებისთვის კონფლიქტის მოგვარების შეთავაზების ყველა მცდელობა უშედეგოდ დასრულდა და მხარეთა პოზიციები შესათანხმებელი დარჩა. კონფლიქტის ასეთ აქტუალობას განაპირობებს ის, რომ სომხეთისა და აზერბაიჯანის მთავრობები კომპრომისზე ვერ თანხმდებიან ერთმანეთთან. აუცილებელია, რომელიმემ დათმოს თავისი პოზიცია, მითუმეტეს, რომ დღეს დასავლეთი აღნიშნული პრობლემის გადაჭრაში ნომინალურ როლს თამაშობს და ცდილობს ფორმალური და მეტად მოკრძალებული მოლაპარაკებების გამართვით შემოიფარგლოს. გარდა ყარაბაღის პრობლემისა რეგიონის წინაშე დგას ისეთი გამოწვევებიც, როგორიცაა სამხრეთოსეთისა და აფხაზეთში არსებული სიტუაცია. საქართველოს სტრატეგია ამ ეტაპზე იქითკენაა მიმართული, რომ როგორმე შეავიწროოს რუსეთის გავლენა კონფლიქტის ზონებში და გაავრცელოს აღნიშნულ ტერიტორიებზე მეგობარი სახელმწიფოების და საერთაშორისო ორგანიზაციების გავლენა. ყველაზე მეტი პასუხისმგებლობა თავად სამხრეთკავკასიის სამ რესპუბლიკაზე მოდის, ვინაიდან სწორედ ამ სახელმწიფოებმა იწვნიეს თავიანთ თავზე დიდი პოლიტიკური თამაშების კატასტროფული შედეგები; შესაბამისად, მათ უნდა გააცნობიერონ პასუხისმგებლობა საკუთარი ხალხის წინაშე და შეცვალონ მიდგომები, მათი შიდა დაპირისპირება ისევ რეგიონის გარეპოლიტიკურ ინტერესებზე ასხამს წყალს, ამ კონტექსტში ყარაბაღის კონფლიქტი სწორედ ის კვანძია, რომლის გახსნაში და ძალებით შეიძლება, ყოველგვარი მესამე მხარის ჩართვის გარეშე, ვინაიდან ეს ის კონფლიქტია, რომლის მონაწილე მხარეები სამხრეთ კავკასიის რეგიონის სახელმწიფოებია, ეს პრეცედენტი უმნიშვნელოვანესი იქნება არა მხოლოდ რეგიონის პოლიტიკური

პროცესების შემდგომი განვითარებისათვის, თუკი მხარეები მომავალშიც არ წავლენ სამართლიან დათმობაზე და კვლავ მესამე მხარის ჩარევით სიტუაციის დარეგულირების იმედზე იქნებიან მაშინ და კიდევ დიდი ხნის განმავლობაში დარჩება საკითხი გადაუჭრელ პრობლემად. განსხვავებით საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებში არსებული სიტუაციისგან სომხეთსა და აზერბაიჯანს აღნიშნული კონფლიქტის დარეგულირება ყოველგვარი მესამე პირის ჩარევის გარეშეც შეუძლიათ. [7]

სამხრეთ კავკასიის ქვეყნებს შორის ტერიტორიით და მოსახლეობის რაოდენობით აზერბაიჯანი ლიდერობს. მასზე მოდის რეგიონის ტერიტორიის 47 დამოსახლეობის 48 პროცენტი. აზერბაიჯანში, საქართველოსა და სომხეთზე მაღალია არა მარტო მშპ-ის საერთო მაჩვენებელი, მშპ ერთ სულ მოსახლეზე გაანგარიშებით და ჰუმანური განვითარების ინდექსი, არამედ საშუალო ხელფასის მაჩვენებელიც და ის 50 ამერიკულ დოლარს შეადგენს. დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ, ქვეყანა დაადგა განვითარების საბაზრო ეკონომიკის გზას, მთლიანად შეიცვალა საკუთრების ფორმები და დაწინაურდა კერძო სექტორი, ქვეყანა განთავისუფლდა ე.წ. გეგმიური ეკონომიკისგან. თანდათანობით იცვლება მისი სპეციალიზაციაც, იგი თავად ქვეყნის ინტერესების შესატყვისი ხდება. რეგიონის მესამე სახელმწიფოა სომხეთი. იგი ფართობით საქართველოზე ორჯერ, ხოლო აზერბაიჯანზე 2, 5-ჯერ მცირეა, ქვეყნის ტერიტორია 29, 8 ათასი კვ. კილომეტრია, მოსახლეობა 3, 3 მილიონი. სომხეთი ინტენსიურად ჩაება საერთო კავკასიური ეკონომიკური სივრცის პრობლემების დამუშავებაში და იქ თვალსაჩინო როლს ასრულებს. სამხრეთ კავკასიაში ევროკავშირის პოლიტიკის და რეგიონში მისი როლის შეფასებისას ურთიერთსაწინააღმდეგო მოსაზრებებს აქვს ხშირად ადგილი. ერთის მხრივ, ევროკავშირის მიერ დახარჯული მილიარდი ევრო, რამდენიმე რეგიონალური მასშტაბის პროექტი და რეგიონის დემოკრატიული გარდაქმნისათვის გაწეული დახმარება მნიშვნელოვან საფუძველს იძლევა დავასკვნათ, რომ ევროკავშირი საკმაოდ აქტიური იყო რეგიონში. უფრო მეტიც, ევროპარლამენტის მიერ გაკეთებულმა განცხადებამ, იმის

[7] საგარეო საქმეთა და უსაფრთხოების პოლიტიკის საკითხებში ევროკავშირის უმაღლესი წარმომადგენელი, ევროპის სამეზობლო პოლიტიკის განხორციელება საქართველოში, ბრიუსელი, 2014. გვ. 1.

თაობაზე, რომ სამხრეთ კავკასია ევროკავშირის ერთობლივი საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკისათვის (CFSP) სტრატეგიულ რეგიონს და შუა აზიისაკენ ნამდვილ ჭიშკარს წარმოაგენს და ევროკავშირის ,,ტროიკას" ვიზიტმა სამხრეთ კავკასიის ქვეყნებში 2001 წლის თებერვალში ასევე დაგვანახა, რომ ევროკავშირი მნიშვნელობას ანიჭებს სამხრეთ კავკასიასთან ურთიერთობების განმტკიცებას. მეორეს მხრივ, სამხრეთ კავკასია მიიჩნევა იმის მაგალითად, რაც მეცნიერულ წრეებში ,,შესაძლებლობებსა და მოლოდინს შორის შეუსაბამობის" (Capability-Expectations Gap) სახელითაა ცნობილი, ევროკავშირს ოფიციალურად ჯერაც არ ჩამოუყალიბებია თავისი განსაზღვრული მიზნები რეგიონში და კვლავაც სამხრეთ კავკასიის მიმართ ერთობლივი სტრატეგიის შემუშავების პროცესში იმყოფება. ზოგადად, მიზნები რომ იქნეს განხორციელებული, საჭიროა სხვადასხვა ტიპის რესურსები და ინსტრუმენტები. ის ინსტრუმენტები კი რომელსაც ევროკავშირი კავკასიაში იყენებს მხოლოდ ეკონომიკური და დიპლომატიური ხასიათისაა *(ეკატერინე ლაზარაშვილი, სამხრეთკავკასიის პრობლემები და გამოწვევები, 2014).*

ევროკავშირის მმართველ წრეებში სამხრეთ კავკასიის რეგიონს განსხვავებულად ხედავენ. ერთნი რეგიონში ევროკავშირის ღირებულებების, როგორიცაა დემოკრატია, საბაზრო ეკონომიკა, სოციალური კეთილდღეობა, დაცვაზე აკეთებენ აქცენტს. მეორენი გაფართოებასა და ახალ ენერგომოთხოვნილებებს ეკიდებიან მეტი ყურადღებით. ზოგი რუსეთის გავლენას რეგიონში საფრთხედ მიიჩნევს, სხვანი კი პოზიტიურ ფაქტორად, რეგიონში სტაბილურობის მისაღწევად. ზოგიერთი ევროკავშირის როლს რეგიონში ტექნიკურ და ჰუმანიტარულ დახმარებაზე დამყარებულ პირველ საერთაშორისო დონორობაში მოიაზრებს. ამის შედეგი გახლავთ ერთობლივი სტრატეგიის არარსებობა, რასაც თან ახლავს ევროკავშირისა და სხვადასხვა წევრქვეყანათა ინტერესების შეუთანხმებლობა, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც სამხედრო ინტერესებია ჩარეული. ზოგიერთი წევრი ქვეყანა მხარს უჭერს სამხედრო დამკვირვებლების გაგზავნას კონფლიქტის ზონებში როგორიცაა აფხაზეთი, ზოგი კი საერთოდ არ იზიარებს ამ პოზიციას. სანამ ევროკავშირი არ შეიმუშავებს ერთიან საგარეო და უსაფრთხოების

პოლიტიკას, ნაადრევია საუბარი რაიმე განსაზღვრულ ერთობლივ პოლიტიკურ ქმედებებზე რეგიონში.

რეგიონის განსხვავებული ხედვაა ევროკავშირის სხვადასხვა ინსტიტუტებშიც. განსხვავდება თვით ევროკავშირის ინსტიტუტებში მომუშავე თანამდებობის პირთა მოსაზრებაც რეგიონში ევროკავშირის როლთან დაკავშირებით.

2.2. საქართველო მოლდოვა, უკრაინა, ბელორუსია, სამეზობლო პოლიტიკა

2017 წლის 8 მარტს ევროკავშირის ოფიციალურ ჟურნალში გამოქვეყნდა ევროკავშირის საბჭოს N539/2001 რეგულაციის ცვლილება, რომლის თანახმად, საქართველომ ევროკავშირთან უვიზო მიმოსვლის რეჟიმის მქონე ქვეყნების სიაში გადაინაცვლა.

შესაბამისად, 2017 წლის 28 მარტიდან საქართველოს მოქალაქეები, რომლებიც ფლობენ ბიომეტრიულ პასპორტს, შეძლებენ ვიზის გარეშე ევროკავშირის /შენგენის წევრ ქვეყნებში გამგზავრებას.

ეს ჩვენი ქვეყნისთვის ძალიან დიდი წარმატებაა, რომელიც მარტივად არ მოსულა. გადავხედოთ განვლილ წლებს და საქართველო-ევროკავშირის ურთიერთობას.

საქართველოს დამოუკიდებლობის პირველი დღეებიდანვე ევროკავშირი მხარს უჭერდა ამ ქვეყანაში თავისუფალი საბაზრო ეკონომიკის და ღია, მრავალპარტიული დემოკრატიის განვითარებას.

1992 წელს, ევროგაერთიანებამ ოფიციალურად აღიარა საქართველოს დამოუკიდებლობა.

1995 წლიდან, საქართველო, ევროკავშირის სავაჭრო პრეფერენციათა განზოგადებული სისტემით (Generalized Scheme of Preferences, (GSP)) სარგებლობს.

1996 წლის 22 აპრილს, ლუქსემბურგში, ხელი მოეწერა საქართველოსა და ევროკავშირს შორის პარტნიორობისა და თანამშრომლობის შეთანხმებას (PCA). აღნიშნული შეთანხმებით, საქართველოსა დაე ვროკავშირს შორის ურთიერთობის შემდგომი განვითარების სამართლებრივი ჩარჩო განისაზღვრა. ხელშეკრულებას ხელი, ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების წარმომადგენლებმა, ევროკომისიისა და საქართველოს პრეზიდენტებმა მოაწერეს. ხელშეკრულება ძალაში 1999 წელს შევიდა.

1997 წლის 1 სექტემბრიდან, საქართველოს პარლამენტის დადგენილების საფუძველზე, საქართველომ დაიწყო საკუთარი კანონმდებლობის ჰარმონიზაცია ევროკავშირის კანონმდებლობასთან.[8]

2003 წლის 7 ივლისს, ევროკავშირმა სამხრეთ კავკასიის რეგიონში თავისი სპეციალური წარმომადგენელი (EU Special Representative for the South Caucasus) დანიშნა.

2004 წლის 14 ივნისს, ევროკავშირის მინისტრთა საბჭომ, მიიღო გადაწყვეტილება აზერბაიჯანის, საქართველოსა და სომხეთის ევროპულ სამეზობლო პოლიტიკაში ჩართვის შესახებ.

2005 წელს, საქართველოს მდგრადი განვითარებისა და ეფექტიანი მმართველობის წახალისებისათვის მიენიჭა ევროკავშირის პრეფერენციების განახლებული გენერალიზებული სისტემის (GSP+ სავაჭრო რეჟიმი) შეღავათები.

2006 წლის 14 ნოემბერს, საქართველოს მთავრობასა და ევროკომისიას შორის დასრულდა საქართველო–ევროკავშირის ევროპული სამეზობლო პოლიტიკის სამოქმედო გეგმის შეთანხმების პროცესი, რომელიც ურთიერთ თანამშრომლობის სტრატეგიულ პრიორიტეტებს ადგენს.

2008 წელს, ევროკავშირმა (ამერიკელ პარტნიორებთან ერთად) მნიშვნელოვანი როლი შეასრულა რუსეთ-საქართველოს ომის შეჩერებაში. ევროკავშირის შუამავლობით,

[8] თ.კიკნაძე, ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმება: სამართლებრივი, პოლიტიკური და ეკონომიკური ასპექტები, თბ. 2016, გვ. 187

ხელი მოეწერა ცეცხლის შეწყვეტის ე.წ. ექვსპუნქტიან შეთანხმებას. 2008 წლის 1 სექტემბერს, საფრანგეთის რესპუბლიკის ინიციატივით მოწვეულ ევროკავშირის საგანგებო სამიტზე, ევროკავშირის წევრი ქვეყნების ლიდერებმა დაგმეს რუსეთის მიერ საქართველოს რეგიონების დამოუკიდებელ ქვეყნებად აღიარება და სხვა ქვეყნებს მოუწოდეს აღნიშნული გადაწყვეტილების მიღებისაგან თავის შეკავების შესახებ. ევროკავშირი აქტიურად უჭერს მხარს საქართველოს ოკუპირებული რეგიონების არაღიარების პოლიტიკას.

2008 წლის 15 სექტემბერს, ევროკავშირის წევრი ქვეყნების საგარეო საქმეთა მინისტრებმა მიიღეს გადაწყვეტილება ევროკავშირის მონიტორინგის მისიის (EUMM) შექმნის თაობაზე, რომლის ძირითად ამოცანას ექვსპუნქტიანი შეთანხმების შესრულების პროცესზე დაკვირვება წარმოადგენს. მისიამ საკუთარი მანდატის განხორციელება 2008 წლის 1 ოქტომბერს დაიწყო.

2008 წლის 25 სექტემბერს, ევროკავშირის საბჭოს გადაწყვეტილებით, საქართველოში კრიზისისთვის ევროკავშირის სპეციალური წარმომადგენლის თანამდებობა შეიქმნა.

2008 წლის 15 ოქტომბერს, ჟენევის საერთაშორისო მოლაპარაკებების ფორმატში, მოლაპარაკების პირველი რაუნდი (ჟენევის საერთაშორისო მოლაპარაკებები არის ნეიტრალური სტატუსის მქონე ფორმატი, სადაც მონაწილეები ინდივიდუალური სტატუსით არიან წარმოდგენილნი) გაიმართა. ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმებისა და ჟენევის მოლაპარაკებების სახელმძღვანელო დოკუმენტის შესაბამისად, მოლაპარაკებები მიმდინარეობდა ორი პარალელური სამუშაო ჯგუფის ფარგლებში. პირველი სამუშაო ჯგუფი უსაფრთხოებასთან დაკავშირებულ საკითხებს განიხილავდა, ხოლო მეორე სამუშაო ჯგუფის ძირითად განსახილველ თემას დევნილებთან და იძულებით გადაადგილებულ პირებთან დაკავშირებული საკითხები წარმოადგენდა. მოლაპარაკებებს თანა-თავმჯდომარეობენ ევროკავშირის, გაერო-სადაეუთო-ს

წარმომადგენლები და ესწრებოდნენ მონაწილეები საქართველოდან, რუსეთის ფედერაციიდან და ამერიკის შეერთებული შტატებიდან.

2008 წლის 22 ოქტომბერს (ომის შედეგებთან გასამკლავებლად საქართველოს დახმარების მიზნით), ქ. ბრიუსელში, ევროკავშირისა და მსოფლიო ბანკის ორგანიზებით გაიმართა დონორთა კონფერენცია, რომელზეც საქართველოსთვის პარტნიორი ქვეყნებისა და საერთაშორისო დონორი ორგანიზაციების მიერ გამოყოფილმა დახმარებამ 2008-2010 წლებისთვის, 4.5 მილიარდი დოლარი შეადგინა[9]

2008 წელს, ევროკავშირმა საქართველოს პრეფერენციათა გენერალიზებული სისტემის მოქმედება სამი წლის ვადით (2009-2011) გაუხანგრძლივა (ეფექტური მმართველობისა და მდგრადი განვითარების მიზნებისთვის (GSP+)).

2008 წლის 3 დეკემბერს, გამოქვეყნდა ევროკომისიის კომუნიკე "აღმოსავლეთპარტნიორობის" შესახებ. "აღმოსავლეთპარტნიორობა" (Eastern Partnership) ევროკავშირის აღმოსავლეთით მდებარე მეზობელ ქვეყნებთან (უკრაინა, მოლდოვა, საქართველო, აზერბაიჯანი, სომხეთი, ბელარუსი) ურთიერთთანამშრომლობის თვისობრივად ახალ მექანიზმს წარმოადგენდა.

2009 წლის 7 მაისს, ქ. პრაღაში, "აღმოსავლეთპარტნიორობის" პირველი სამიტი გაიმართა.

2009 წლის 30 ნოემბერს, ქ. ბრიუსელში, ხელი მოეწერა "პარტნიორობა მობილურობისათვის" ერთობლივ დეკლარაციას. „პარტნიორობა მობილურობისათვის" მიზნად ისახავდა არალეგალურ მიგრაციასთან ბრძოლას და ლეგალური მიგრაციის მოწესრიგებას (მათ შორის "ცირკულარული მიგრაციის" შესაძლებლობების გამოყენებით).

2010 წლის 10 მაისს, ბრიუსელში, ზოგად საკითხთა საბჭომ (General Affairs Council) დაამტკიცა, ევროკომისიის მიერ წარდგენილი მანდატი ასოცირების შეთანხმების თაობაზე საქართველოსთან მოლაპარაკებების დაწყებასთან დაკავშირებით.

[9] იქვე, გვ. 189

2010 წლის 17 ივნისს, ხელი მოეწერა ,,საქართველოსა და ევროკავშირს შორის ვიზების გაცემის პროცედურების გამარტივების შესახებ" შეთანხმებას, ხოლო 2010 წლის 22 ნოემბერს, „ევროკავშირსა და საქართველოს შორის უნებართვოდ მცხოვრებ პირთა რეადმისიის შესახებ" შეთანხმებას. აღნიშნული შეთანხმებები 2011 წლის 1 მარტს შევიდა ძალაში.

2010 წლის 15 ივლისს, დაიწყო ასოცირების შესახებ შეთანხმებაზე მოლაპარაკებები რომელიც მოიცავს "ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმებას " (DCFTA).

2010 წლის 2 დეკემბერს, ქ. ბრიუსელში, ხელი მოეწერა „საქართველოსა და ევროკავშირსა და მის წევრსახელმწიფოებს შორის ერთიანი საავიაციო სივრცის'' შესახებ შეთანხმებას.

2011 წლის 3 მაისს, ქ. ბრიუსელში გამართულ საგანგებო სხდომაზე, „აღმოსავლეთპარტნიორობის" ფარგლებში, ოფიციალურად დაფუძნდა თანამშრომლობის საპარლამენტო ასამბლეა „ევრონესტი".

2011 წლის 14 ივლისს, ხელი მოეწერა საქართველოსა და ევროკავშირს შორის „სოფლისმეურნეობის პროდუქციისა და სხვა საკვები პროდუქტების გეოგრაფიული დასახელების ურთიერთდაცვისა და აღიარების შესახებ" ხელშეკრულებას, რომელიც 2012 წლის 1 აპრილიდან შევიდა ძალაში.

2011 წლის 25 აგვისტოს, ევროკავშირის საბჭოს გადაწყვეტილებით, გაერთიანდა სამხრეთ კავკასიასა და საქართველოში კრიზისისთვის ევროკავშირის სპეციალური წარმომადგენლების თანამდებობები და მათ ნაცვლად, სამხრეთ კავკასიასა და საქართველოში კრიზისის საკითხებში ევროკავშირის სპეციალური წარმომადგენლის თანამდებობა შეიქმნა.

2011 წლის 29-30 სექტემბერს, ქ. ვარშავაში გაიმართა "აღმოსავლეთპარტნიორობის" მეორე სამიტი.

2012 წლის 28 თებერვალს, ოფიციალურად გაიხსნა მოლაპარაკებები, საქართველოსა და ევროკავშირს შორის „ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების"(DCFTA) დადების თაობაზე.

2012 წლის 4 ივნისს, საქართველოსა და ევროკავშირს შორის უვიზო მიმოსვლის შესახებ დიალოგი გაიხსნა.

2013 წლის 22 ნოემბერს, ევროკომისიამ და ევროკავშირის წევრმა სახელმწიფოებმ ააღიარეს საქართველოს მეზღვაურების ტრენინგებისა და კომპეტენციის დამადასტურებელი სერტიფიკატები (შედეგად, ქართველ მეზღვაურებს, ევროკავშირის ქვეყნების დროშის ქვეშ მცურავ გემებზე დასაქმების უფლება მიეცათ).

2013 წლის 28-29 ნოემბერს, ქ. ვილნიუსში „აღმოსავლეთპარტნიორობის" რიგით მესამე სამიტი გაიმართა, რომლის ფარგლებში, ასოცირების შეთანხმებისა და მისი კომპონენტის, ღრმა და ყოვლისმომცველი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების პარაფირება მოხდა და ასევე, საქართველოს ევროკავშირის კრიზისების მართვის ოპერაციებში ჩართვის შესახებ შეთანხმება გაფორმდა.

2014 წლის 26 ივნისს, ევროკავშირმა და საქართველომ დაამტკიცეს ასოცირების დღის წესრიგი, რომელიც ასოცირების შესახებ შეთანხმებიდან გამომდინარე 2014-2016 წლებში რეფორმების პრიორიტეტულ მიმართულებებს განსაზღვრავს. ასოცირების დღის წესრიგმა ევროპული სამეზობლო პოლიტიკის სამოქმედო გეგმა (ENP AP) ჩაანაცვლა.

2014 წლის 27 ივნისს, ქ. ბრიუსელში, ხელი მოეწერა „ერთის მხრივ, ევროკავშირსა და ევროპის ატომური ენერგიის გაერთიანებას და მათ წევრსახელმწიფოებსა და მეორეს მხრივ, საქართველოს შორის ასოცირების შესახებ" შეთანხმებას.

2014 წლის 18 ივლისს, საქართველოს პარლამენტმა ევროკავშირთან ასოცირების შესახებ შეთანხმების რატიფიცირებას მხარი ერთხმად დაუჭირა.

2014 წლის 29 ივლისს, საქართველოს ევროკავშირში ინტეგრაციის სამთავრობო კომისიის (29-ე) სხდომაზე, საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოცირების შესახებ

შეთანხმებისა და ასოცირების დღის წესრიგის განხორციელების 2014 წლის ეროვნული სამოქმედო გეგმა და ასევე, საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმების, ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის კომპონენტის განხორციელების 2014-2017 წლების სამოქმედო გეგმა დამტკიცდა.

2014 წლის 26 აგვისტოს, საქართველოს მთავრობამ „ერთის მხრივ, ევროკავშირს და ევროპის ატომური ენერგიის გაერთიანებას და მათ წევრსახელმწიფოებსა და მეორეს მხრივ, საქართველოს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმებისა და საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოცირების დღის წესრიგის განხორციელების 2014 წლის ეროვნული სამოქმედო გეგმა" დაამტკიცა.

2014 წლის 1 სექტემბერიდან, ასოცირების შესახებ შეთანხმების დადგენილი ვალდებულებების დაახლოებით 80% (ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის სივრცის (DCFTA) კომპონენტის ჩათვლით) ამოქმედდა დროებით რეჟიმში. ასოცირების შესახებ შეთანხმება ძალაში შევა, ევროკავშირის წევრისახელმწიფოების ეროვნულისაკანონმდებლო ორგანოების მიერ რატიფიცირების შემდეგ.

2014 წლის 19 დეკემბერს, საქართველოს ევროკავშირში ინტეგრაციის სამთავრობო კომისიის (51-ე) სხდომამ მოიწონა „ერთის მხრივ, საქართველოსა და მეორეს მხრივ, ევროკავშირს და ევროპის ატომური ენერგიის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმებისა და საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოცირების დღის წესრიგის განხორციელების 2015 წლის ეროვნული სამოქმედო გეგმა". სამოქმედო გეგმა საქართველოს მთავრობის 26 იანვრის №59 განკარგულებით დამტკიცდა.

2015 წლის 22 მაისს, ქ.რიგაში „აღმოსავლეთპარტნიორობის" რიგით მეოთხ ესამიტი გაიმართა. სამიტზე განიხილეს ვილნიუსის სამიტის შემდეგ პარტნიორი ქვეყნების მიერ მიღწეული პროგრესი ასოცირების დღის წესრიგი განხორციელების მიმართულებით და ურთიერთანამშრომლობის სამომავლო გეგმები დაისახა.

2015 წლის 18 დეკემბერს, ევროკომისიამ საქართველოს მიერ სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაციის სამოქმედო გეგმის (VLAP) იმპლემენტაციის შესახებ რიგითმეოთხე, საბოლოო ანგარიში გამოაქვეყნა. ევროკომისიის შეფასებით, საქართველომ სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაციის სამოქმედო გეგმის მეორე ფაზის ოთხივე ბლოკით განსაზღვრული ყველა მოთხოვნა შეასრულა და ვიზალიბერალიზაციის ტექნიკური პროცესი წარმატებით დაასრულა.

2015 წლის დეკემბერში, დასრულდა ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების მიერ საქართველო-ევროკავშირის ასოცირების შეთანხმების რატიფიცირების პროცესი.

2016 წლის 1 ივლისს, საქართველო-ევროკავშირს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმება სრულად შევიდა ძალაში.

ამ საკმაოდ დიდი დროისა და ურთიერთ თანამშრომლობის შედეგად, დღეს უკვე გვაქვს უვიზოდ მიმოსვლის უფლება შენგენის ზონის წევრ ქვეყნებში, რაც წინა მოსაცდელ ოთახად შეგვიძლია მივიჩნიოთ, იმასთან შედარებით, რასაც ევროკავშირის წევრობა ჰქვია. [10]

სომხეთი

1991 წელს სომხეთის დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ, ჩამოყალიბდა ის ძირითადი ფაქტორი, რომელიც განსაზღვრავდა სომხეთის პოლიტიკას ევროპის მიმართ. ეს იყო სომხეთის მიერ ევროკავშირის გაფართოების ეტაპების გავლა და ევროპაში შედარებით ეკონომიკური განვითარება. სომხური პოლიტიკური ელიტის წარმომადგენელები აღნიშნავდნენ,რომ სომხეთის ახლო ურთიერთობა ევროკავშირთან იყო გარანტი სომხეთის დემოკრატიული და უსაფრთხო მომავლის.

1991 წლიდან,სომხეთი აქტიურად ჩაერთო ორმხრივ და მრავალმხრივ პროექტებში. ევროკავშირი მხარს უჭერდა სომხეთს ინსტიტუციონალური,სამართლებრივი და

[10] იქვე, გვ. 191

ადმინისტრაციული რეფორმების განხორციელებაში,აგრეთვე ახორციელებდა რეგიონალურ პროგრამებს.

1996 წელს,ხელი მოეწერა „პარტნიორ ობის და თანამშრომლობის“ხელშეკრულებას, რომელიც ძალაში შევიდა 1999 წელს და დღემდე რჩება,როგორც ევროკავშირის და სომხეთის ფუნდამენტი.

2001 წლიდან სომხეთი ევროსაბჭოს წევრი გახდა.

2005 წლის 2 მარტს, გამოქვეყნებული ევროპის სამეზობლო პოლიტიკის მიხედვით,სომხეთმა მიიღო მოწვევა, შეექმნა ახალი ტიპის ურთიერთობა ევროკავშირთან და ევროკავშირს თავისმხრივ მიეღო ვალდებულება სომხური კონფლიქტების პრევენციასა და გადაჭრაში. სომხეთსა და ევროკავშირს შორის გაფორმებულ ხელშეკრულებაში ჩამოთვლილია რვა მთავარი პრიორიტეტი და მხოლოდ მეშვიდეზეა რეგიონალური თანამშრომლობა, კონფლიქტების პრევენცია და გადაჭრა.

სომხეთის შიდა განვითარება და თავისუფალი ბაზრის შექმნა წარმოადგენს ევროკავშირის მთავარ სამოქმედო გეგმას სომხეთთან მიმართებაში. გასათვალისწინებელია, რომ სომხეთი განთავსებულია გეოპოლიტიკურად რთულ რეგიონში, რომელიც წლების განმავლობაში წარმოადგენდა დამპყრობლებისა და უცხო ცივილიზაციების გზაგასაყარს.

ამის მიუხედავად ,სომხური საზოგადოება, დიდი ხანია თავს ევროპული საზოგადოების ნაწილად მიიჩნევს.

სომხეთი იყო პირველი ქვეყანა, რომელმაც მიიღო ქრისტიანობა, როგორც სახელმწიფო რელიგია 301 წელს ქრისტეს შემდეგ.

სომხეთის ევროპული ინტეგრაციის პროცესი ძირითად იმართება სომხური პოლიტიკური ელიტის მიერ და საფუძვლად უდევს მათი წარმოდგენა,რომ სომხეთი ევროკავშირისგან მიიღებს ეკონომიკურ და პოლიტიკურ სარგებელს. აღსანიშნავია, რომ ყველა პარტია,

რომელიც მონაწილეობას იღებდა 2007 წლის საპარლამენტო არჩევნებში მხარს უჭერდა ქვეყნის ევროპულ მომავალს და ევროკავშირში ინტეგრაციას.

სომხეთის ლოკაციის და იდენტობის ერთ-ერთი ფაქტორი არისის, რომ სომხეთი მიიჩნევა შავიზღვის რეგიონში მდებარე ქვეყნად (მასთან ერთად აზერბაიჯანი, მოლდოვა, საბერძნეთი).

2008- 2009 წლებში, სომხეთი წარმოადგენდა შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაციის თავმჯდომარე ქვეყანას.

პირველი საგარეო ფაქტორი, რომელიც აჭიანურებს რეგიონალურ ინტეგრაციას არის მთიანი ყარაბაღის ხალხის ომი თვითგამორკვევისა და თავისუფლებისათვის და სომხეთის მხარდაჭერა ეთნიკურად სომხებისათვის ,რომლებიც მთიან ყარაბაღში არიან დასახლებული. ეს გაჭიანურებული და გადაუჭრელი კონფლიქტი წარმოადგენს ყველაზე დიდ დაბრკოლებას სამხრეთ კავკასიაში მშვიდობის დამყარებისთვის. ცეცხლი სშეწყვეტის შეთანხმების შემდეგ, 14 წლისთავზე , მხარეები ვერ ახერხებენ გადადგან საჭირო ნაბიჯები შესათანხმებლად. საერთაშორისო მედიატორების მცდელობების მიუხედავად კონფლიქტი კიდევ გრძელდება.

ამ კონფლიქტმა, 20000-ზე მეტი სიცოცხლე იმსხვერპლა და დღესაც გადაუწყვეტელი სიტუაციაა. ბოლო წლებში, არაერთხელ იქნა გაჟღერებული ინფორმაცია, რომ ევროკავშირს დაეწყო მოლაპარაკება დეფაქტო ხელისუფლებასთან , რათა დაწყებულიყო დემოკრატიზაციის პროცესი. მთიანიყარაბაღი ერთადერთი ობიექტია, რომელშიც ევროკავშირს არ გაუტარებია არანაირი ეკონომიკური რეაბილიტაციის პროექტი. მეორე ხელის შემშლელი ფაქტორი სომხეთსა და თურქეთს შორის დიპლომატიური ურთიერთობის არქონაა.

1993 წელს, როდესაც სომხეთის ძალებმა დაიპყრეს ყარაბაღი თურქეთმა დახურა სახმელეთო საზღვარი. უარი განაცხადა სომხეთთან დიპლომატიურ ურთიერთობაზე, მიუხედავად იმისა, რომ თურქეთი იყო ერთ-ერთი პირველი სახელმწიფო, რომელმაც

მხარი დაუჭირა სომხეთის დამოუკიდებლობას 1991 წელს (Country Strategy paper, European Neighbourhood and Partnership Instrument. Armenia, 2007-13).

2013 წელს, სომხეთის პრეზიდენტმა - სერჟ სარქისიანმა მოულოდნელი განცხადება გააკეთა. რუსეთის პრეზიდენტ - ვლადიმერ პუტინთან შეხვედრის შემდეგ განაცხადა, რომ ერევანი უკან იხევს ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების გაფორმების კურსიდან და ამ მიზნისთვის წარმოებული მოლაპარაკებებიდან. სომხეთის გეზი შეიცვალა ევროკავშირიდან ევრაზიული კავშირისკენ. ექსპერტები ამას რუსეთის ზეწოლით ხსნიდნენ.

2015 წლის იანვარში, სომხეთი ევრაზიული კავშირის სრულუფლებიანი წევრი გახდა. თუმცა ის აგრეთვე „აღმოსავლეთ პარტნიორობის" ფორმატში თანამშრომლობს ევროკავშირთან. 2013 წელს ევრაზიულ კავშირში შესვლის გამო ხელი ვერ მოაწერა ევროასოცირების ხელსეკრულებას, თუმცა ამ კუთხით ნაბიჯების გადადგმას წლის ბოლოს გეგმავს. სომხეთისთვის ვიზალიბერალიზაცია, ასევე სასურველი პროცესია.[11]

აზერბაიჯანი

აზერბაიჯანისა და ევროკავშირის ურთიერთობები იდეალური არასოდეს ყოფილა, რაც გამოწვეული იყო აზერბაიჯანში ადამიანის უფლებების დაცვის საკითხებითა და პოლიტიკური ბალანსის შენარჩუნებით რუსეთსა და დასავლეთს შორის.

საქართველოსგან და უკრაინისგან განსხვავებით, რომლებიც დასავლეთთან ინტეგრაციის სურვილზე ღიად საუბრობდნენ, აზერბაიჯანს მსგავსი სურვილის საჯაროდ არასოდეს გაუჟღერებია. მეტიც, აზერბაიჯანმა უარი თქვა ხელი მოეწერა ევროკავშირთან ასოცირების შესახებ შეთანხმებაზე, რის შემდეგაც აზერბაიჯანი-ევროკავშირის ურთიერთობებში ხანგრძლივი პაუზა დადგა.

[11] საერთაშორისო გამჭვირვალობა-საქართველო, ევროპისსამეზობლოპოლიტიკა: ანტიკორუფციულირეფორმებისმონიტორინგი, თბილისი 2010; გვ. 56

“აღმოსავლეთპარტნიორობის” პროგრამას ჯერ არსებითი დივიდენდები აზერბაიჯანისთვის არ მოუტანია. თუ საქართველომ და უკრაინამ ევროკავშირის ქვეყნებთან ვიზების გაუქმებას მიაღწია, აზერბაიჯანი არაფრისკენ არ მიილტვოდა. სომხეთისგან განსხვავებით, მას არასოდეს ჰქონია გასაკეთებელი არჩევანი – ევროკავშირი თუ ევრაზიული კავშირი.

აზერბაიჯანი ფართობით, მოსახლეობით და ეკონომიკური პოტენციალით წარმოადგენს ყველაზე დიდ ქვეყანას სამხრეთკავკასიაში. ასევე არის ევროკავშირის უდიდესი სავაჭრო პარტნიორი რეგიონში. აზერბაიჯანის გადაუჭრელი პრობლემა სომხეთთან (მთიანი ყარაბაღი,) წარმოადგენს სერიოზულ უსაფრთხოების გამოწვევას ევროკავშირისთვის, შეიძლება უფრო დიდ გამოწვევასაც ვიდრე საქართველო-რუსეთის ომი 2008 წელს. შეიძლება ითქვას აზერბაიჯანი ყველაზე ნაკლებად შესწავლილი ქვეყანაა ევროკავშირის ექსპერტების მიერ.

2003 წელს საქართველოში მომხდარი ვარდების რევოლუციის შემდეგ ქვეყნის სწრაფვამ დასავლური განვითარებისკენ ყურადღება მიიქცია და გადაანცვლა აზერბაიჯანის და სომხეთის თვალთახედვა. ევროკავშირის სტრატეგიის წარმატება უმეტესად დამოკიდებული იქნება როგორ იმუშავებს ეს სტრატეგია აზერბაიჯანისთვის. ნაშრომი აანალიზებს იმ ფუნქციებს, რომლებიც გავლენას იქონიებენ ევროკავშირი-აზრბაიჯანის ურთიერთობებზე და იმ შეხედულებებზე რაც ხელს უშლის ამ თანამშრომლობის გაადვილებას და განიხილავს რა მიმართულებით უნდა განვითარდეს ევროკავშირის და აზერბაიჯანის ურთიერთობა.

აზერბაიჯანი, თავისმხრივ, ენერგეტიკული რესურსებიდან გამომდინარე, კასპიის ზღვის ნაწილად უფრო თვლის თავს, ვიდრე შავი ზღვისა. ევროკავშირის გადმოსახედიდან კასპიის ზღვა მნიშვნელოვანი არეალია ენერგეტიკული თვალსაზრისით, მაგრამ ის გავლენის სფეროებში არ შედის. რაც შეეხება ინტეგრაციის პროცესებს და პერსპექტივებს ნახსენები იყო მხოლოდ (ევროკავშირში ინტეგრაციის ხელშეწყობა) ევროკავშირისა და აზერბაიჯანის პარტნიორობა.

აზერბაიჯანის ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციაში მითითებულია, რომ ევროპაში და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში გაწევრიანება წარმოადგენს მეორე მნიშვნელოვან პრიორიტეტს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის შემდეგ, ხოლო რეალობაში აზერბაიჯანი ეწევა დაბალანსებულ საგარეო პოლიტიკას, ნაკლებად ამბიციურს ევროკავშირის მიმართ და პროაქტიურს რუსეთის მხრივ, რათა არ გამოიწვიოს ამ უკანასკნელის გაღიზიანება. ბევრი მიიჩენვს, რომ აზერბაიჯანის დაბალანსებული პოლიტიკა გამომდინარეობს მისი მდებარეობიდან გამომდინარე. აზერბაიჯანის მიმდინარე კონფლიქტი სომხეთთან წარმოადგენს მთავარ პოლიტიკურ დღისწესრიგს.

აზერბაიჯანის მოსახლეობასა და პოლიტიკურ ლიდერებს ეშინიათ, რომ ორმხრივი ურთიერთობების გაფუჭებამ შესაძლოა რუსეთის მხიდან სავიზო რეჟიმის შემოღება გაოიწვიოს, იმის ფონზე, რომ აზერბაიჯანის 1 მილიონზე მეტი მოქალაქე რუსეთში მუშაობს და ცხოვრობს. ეს სცენარი, რომელიც რუსეთმა ერთხელ უკვე გაითამაშა საქართველოს მიმართ, როგორც სასჯელი ქვეყნის პრო-დასავლური პოლიტიკისა, მიზნად დიდი რაოდენობის უმუშევარი მოსახლეობის ქვეყანაში ჩადინებას და ეკონომიკური არეულობის გამოწვევას ისახავდა.

აზერბაიჯანისთვის, ასევე უდიდეს საფრთხეს და საშიშროებას წარმოადგენს რუსეთის მიერ სომხეთის აქტიური მხარდაჭერა მთიანი ყარაბაღის კონფლიქტთან მიმართებაში. სწორედ, მთიანი ყარაბაღის კონფლიქტი მიაჩნია ექსპერტების უმრავლესობას აზერბაიჯანზე გავლენისმქონე მთავარ ფაქტორად.

ევროკავშირსა და აზერბაიჯანს შორის ხელმოწერილ მემორანდუმში ენერგეტიკული თანამშრომლობის თაობაზე, აზერბაიჯანი მოხსენებულია, როგორც ევროკავშირის „სტრატეგიული პარტნიორი ქვეყანა“ ენერგეტიკულ პარტნიორობის სფეროში. მემორანდუმი მიზნად ევროპის ენერგომიწოდების უსაფრთხოების გაზრდას და აზერბაიჯანის ევროპის ენერგეტიკულ ბაზარზე ინტეგრაციას ისახავს.

თავის მხრივ რუსეთმა გამოიყენა ევროპის გადაუწყვეტელობა ნაბუკოს პროექტთან დაკავშირებით და შეძლო დაერწმუნებინა აზერბაიჯანი გაეყიდა გაზი, რითიც მონოპოლია დაიმკვიდრა ევროპულ გაზის ბაზარზე.

რუსეთის გაზის მონოპოლისტმა „გაზპრომმა“ აზერბაიჯანს შაჰდენიზის გაზის საბადოზე მოპოვებული გაზის „მაქსიმალური რაოდენობით“ შეძენა შესთავაზა (საუბარია 12- 14 მილიონ კუბურ მეტრ გაზზე). აზერბაიჯანმა და რუსეთმა მემორანდუმს ხელი 2009 წლის მარტში მოაწერეს (Наджафов Э Н, Безопасность Южного Кавказа в политике Азербайджана, региональных и глобальных организаций, 2004).[12]

უკრაინა, მოლდოვა და ბელორუსი

უკრაინამ, საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, ნეიტრალიტეტი გამოაცხადა. მას შეზღუდული პარტნიორობა აქვს რუსეთთან და დსთ-ს სხვა ქვეყნებთან.

1994 წელს, უკრაინამ ხელი მოაწერა ევროკავშირთან პარტნიორობისა და თანამშრომლობის შეთანხმებას.

2009 წლიდან კი ევროკავშირთან თანამშრომლობს აღმოსავლეთ პარტნიორობის ფორმატში არის ჩართული.

2010 წლის სექტემბერში, უკრაინა შეუერთდა ენერგეტიკული გაერთიანების ხელშეკრულებას და აიღო რიგი ვალდებულებები ენერგეტიკის სექტორში რეფორმების გატარების შესახებ, რაც მოიცავდა დაახლოებას ევროკავშირის შიდა ენერგო ბაზართან და ენერგეტიკულ კანონმდებლობასთან. ნაგულისხმევი იყო, რომ ენერგეტიკული გაერთიანების ხელშეკრულების დებულებების სრული განხორციელება და მიღება უზრუნველყოფდა უკრაინაში კონკურენტუნარიან, გამჭვირვალე და პროგნოზირებად ბაზარს, რაც ხელს შეუწყობდა ინვესტიციების მოზიდვას და უზრუნველყოფდა ენერგეტიკის სექტორის ეფექტურობას. აღსანიშნავია, რომ 2013 წელს ენერგეტიკულ თანამეგობრობაში

[12] იქვე, გტვ.34

უკრაინის წევრობას საფრთხე შეექმნა. პოლიტიკოსების ნაწილმა, მათ შორის ყოფილმა პრეზიდენტმა ვიქტორ იანუკოვიჩმა, გამოხატა თავისი უარყოფითი დამოკიდებულება თანამეგობრობის შესახებ. მიუხედავად იმისა, რომ უკრაინას უკვე დაწყებული ჰქონდა დაკისრებული ვალდებულებების შესრულება, ენერგეტიკის სექტორის რეფორმასთან დაკავშირებულმა გაურკვევლობამ ქვეყანა უკან დახია. უკრაინის ენერგეტიკული სექტორი უპრეცენდენტო გამოწვევების წინაშეა, დაწყებული ძვირადღირებული წიაღისეული საწვავის იმპორტზე დამოკიდებულებით, არაეფექტური ინფრასტრუქტურითა და ბაზრით დამთავრებული.

უკრაინა, საქართველოს მსგავსად, საკმაოდ დიდხანს იბრძოდა იმისთვის რომ ევროპას დაახლოებოდა. მისი წარმატებული სვლა ევროკავშირისკენ, ბოლო აქტუალური მოვლენაა. 2017 წლის 11 ივნისიდან, უკვე უკრაინის მოქალაქეებს, ოფიციალურად შეუძლიათ უვიზოდ გაემგზავრონ ევროკავშირის ქვეყნებში.

მოლდოვა, საბჭოთაკავშირის დაშლის შემდეგ, სხვა პოსტ-სოციალისტური სახელმწიფოების მსგავსად, რთული გამოწვევის წინაშე აღმოჩნდა. მას, როგორც ახლად შექმნილ სახელმწიფოს, შიდა სახელმწიფოებრივი სირთულეების გადაჭრასთან ერთად, უნდა განესაზღვრა საკუთარი საგარეო ორიენტირი.

რუმინეთსა და უკრაინას შორის მოქცეული მოლდოვა, როგორც ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკების უმრავლესობა, მჭიდროდ იყო დაკავშირებული რუსეთთან, რომელიც ამ სახელმწიფოებს საკუთარი გავლენის სფეროდ აღიქვამდა, ამავდროულად მნიშვნელოვანი გარემოება იყო რუმინეთთან კულტურული სიახლოვე. ამავე პერიოდში აღმოსავლეთ ევროპაში გამოჩნდა კიდევ ერთი მნიშვნელოვანი მოტამაშე ევროკავშირის სახით. მოლდოვამ, რომელიც, პირველ რიგში, ეკონომიკური ინტერესებიდან გამომდინარე გაწევრიანდა დამოუკიდებელ ერთა თანამეგობრობაში, დაიწყო ურთიერთბა ევროკავშირთან.

1992 წელს ევროკავშირმა შეიმუშავა პოლიტიკა ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკების მიმართ. დაიწყო პარტნიორობისა და თანამშრომლობის ხელშეკრულებების დადება ასეთ სახელმწიფოებთან, მოლდოვასთან ამგვარი ხელშეკრულება 1994 წელს დაიდო, რომელიც ძალაში 1998 წელს შევიდა.

1996 წელს ევროკომისიის პრეზიდენტ ჟაკ სანტერისთვის მიწერილ წერილში მოლდოვის პრეზიდენტმა პეტრუ ლუჩინსკიმ პირველად დააფიქსირა მოლდოვის რესპუბლიკის მისწრაფება გამხდარიყო ევროკავშირის ასოცირებული წევრი (Wróbel 2004). ევროპასთან ურთიერთობები გაგრძელდა ხელისუფლებაში კომუნისტების მოსვლის შემდეგაც. ახალი ხელისუფლება ცდილობდა დაბალანსებული პოლიტიკის წარმოებას.

2004 წელს მოლდოვა ევროკავშირის სამეზობლო პოლიტიკაში ჩაერთო. 2009 წელს კი აღმოსავლეთ პარტნიორობაში.

2014 წლის 28 აპრილს მოლდოვამ ევროპასთან უვიზო მიმოსვლის რეჟიმი მიიღო, 2014 წლის 27 ივნისს კი ევროკავშირთან ასოცირების შესახებ შეთანხმებისა(AA) და ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმებას(DCFTA) მოეწერა ხელი, რომელიც ძალაში სრულად 2016 წელს შევიდა. მიუხედავად იმისა, რომ ასოცირების შესახებ ხელშეკრულების გაფორმება არ წარმოადგენს ევროკავშირში გაწევრიანების საფეხურს და აღმოსავლეთის პარტნიორობა სამეზობლო სივრცის ქვეყნებისა და ევროკავშირის ეკონომიკურ, პოლიტიკურ და სოციალურ დაახლოებაზეა გათვლილი, შეიძლება ითქვას, რომ ვილნიუსის სამიტის შემდეგ ევროკავშირმა დაიწყო ხისტი პირობითობის ინსტრუმენტის გამოყენება აღმოსავლეთ პარტნიორობის წევრების მიმართ, რაც გულისხმობს ევროკავშირის მიერ კონკრეტული პირობების წაყენებას, რომელთა შესრულებაც კონკრეტულ სარგებელთან, შეუსრულებლობა კი სარგებლის შემცირებასთანაა დაკავშირებული, რისი წყალობითაც ევროკავშირი პარტნიორ სახელმწიფოებში ევროპული ღირებულებების დამკვიდრებას ცდილობს (კაპანაძე 2014). ზემოთქმულზე დაყრდნობით შეიძლება ითქვას, რომ მოლდოვა აღმოჩნდა

მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებისპირისპირ. მას საბოლოოდ უნდა განესაზღვრა საკუთარი საგარეო ორიენტაცია.

მოლდოვა თანდათანობით მიიწევდა ევროპისკენ და შემდეგ მოხდა ისე, რომ ხალხმა არჩევნებში ხმა მისცა პრორუს კანდიდატს. ამ მოვლენებმა გარკვეულწილად კითხვისნიშნისქვეშდააყენაამსახელმწიფოსევროპულიარჩევანი.

ევროკავშირსა და **ბელარუსს** შორის ურთიერთობები1991 წელს დაიწყო, ბელორუსის დამოუკიდებლობის აღიარებით ევროკავშირის მხრიდან.

1994 წელს, ალექსანდრე ლუკაშენკოს ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ, ბრიუსელისა და ევროკავშირის ურთიერთობები გაუარესდა და გაცივდა.

2008 წლის საპარლამენტო არჩევნებში უმნიშვნელო გამარჯვების შემდეგ, 2010 წელს ჩატარებულ საპრეზიდენტო არჩევნებში ლუკაშენკომ 80% -ით გამარჯვება. მინსკში დაიწყო მასობრივი დემონსტრაციები და დაპატიმრებები.

ბელარუსი მონაწილეობს ევროკავშირის აღმოსავლეთპარტნიორობაში.

ბელორუსი დღეს პრორუსული ორიენტაციის მქონე ქვეყნად ითვლება, რადგან ევრაზიული ეკონომიკური კავშირის ასოცირებული წევრია.

ბელარუსმა და ევროკავშირმა უკვე შეინარჩუნეს რეგულარული სექტორული დიალოგი ეკონომიკური და ეკოლოგიური საკითხების, ენერგეტიკისა და ტრანსპორტის საკითხებზე, ხოლო 2015 წელს ევროკავშირმა და ბელარუსმა განაახლეს თავიანთი უფლებათა დიალოგი. [13]

[13] იქვე, გვ.45

თავი 3. სამეზობლო პოლიტიკის შედეგები და პერსპექტივები, სამეზობლო პოლიტიკიდან - ევროინტეგრაციამდე

3.1. ევროპული სამეზობლო პოლიტიკის განხორციელების გზები

ევროპული სამეზობლო პოლიტიკა ეფუძნება რიგი ღონისძიებების განხორციელებასა და მჭიდრო თანამშრომლობას შემდეგი მიმართულებებით:

- ფინანსური დახმარება - ევროპული სამეზობლო პოლიტიკის ფარგლებში ცალკეული ქვეყნებში შესაბამისი პროექტების დასაფინანსებლად 2007-2013 წლებში გამოიყო 12 მილიარდი ევრო;
- ეკონომიკური ინტეგრაცია და ევროკავშირის ბაზარზე დაშვება;
- ევროკავშირთან საავიზო რეჟიმის გამარტივება;
- სამეზობლო პოლიტიკის მონაწილე ქვეყნების ტექნიკური და საჯარო პოლიტიკის ცალკეულ სფეროებში რეფორმების მხარდაჭერა.[14]

ევროპული სამეზობლო პოლიტიკა, ასევე, ხორციელდება მრავალმხრივი თანამშრომლობის შემდეგ ფორმატებში:

- „აღმოსავლეთ პარტნიორობა";
- ევრო-ხმელთაშუა ზღვის პარტნიორობა;
- შავი ზღვის სინერგია.

2015 წლის 18 ნოემბერს გამოქვეყნდა ევროკომისიისა და ევროკავშირის უმაღლესი წარმომადგენლის ერთობლივი კომუნიკაცია ევროპარლამენტის, ევროკავშირის საბჭოს, ეკონომიკური და სოციალური კომიტეტისა და რეგიონების კომიტეტის მიმართ, რომელიც ეხება ევროპული სამეზობლო პოლიტიკის (ENP) გადახედვის საკითხს. აღსანიშნავია, რომ

[14] რა არის ევროკავშირი?. http://infocenter.gov.ge/euinfo-the-eastern-partnership/ გვ.1.

დოკუმენტის შემუშავებას წინ უსწრებდა ხანგრძლივი საჯარო კონსულტაციები, რის შედეგადაც ევროკავშირმა მიიღო 250 გამოხმაურება ევროკავშირის წევრი სახელმწიფოებიდან, პარტნიორი ქვეყნების, ევროკავშირის ინსტიტუტებისგან, საერთაშორისო ორგანიზაციებიდან. დოკუმენტის თანახმად, ახალი ENP-ი ძირითადი პოლიტიკური ორიენტირი სტაბილიზაციის ხელშეწყობაა მთლიანად სამეზობლოში, რაც გულისხმობს არასტაბილურობის გამომწვევი ფაქტორების აღმოფხვრას ყველა დარგში. ამ მიზნით ENP-ი ითვალისწინებს გაძლიერებულ თანამშრომლობას მთელი რიგი პრიორიტეტული მიმართულებებით:

- დემოკრატია, კარგი მმართველობა, კანონის უზენაესობა და სასამართლოს დამოუკიდებლობის, საჯარო ადმინისტრირების, კორუფციის წინააღდეგ ბრძოლის ხელშეწყობა;

- ეკონომიკური და სოციალური განვითარების ხელშეწყობა, ეკონომიკის მოდერნიზაციის, ინოვაციების წახალისების, სამუშაო ადგილების შექმნის, საჭირო პროფესიული უნარ-ჩვევების გაუმჯობესების და ეკონომიკური, სოციალური და ტერიტორიული თანასწორობის უზრუნველყოფის გზით;

- ევროკავშირის საერთო ბაზარში ინტეგრაცია ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის სივრცის შექმნით. ვაჭრობისა და ინვესტიციების წახალისების მიზნით, დოკუმენტი, ასევე, ითვალისწინებს ორმხრივ ინტერესებზე დაფუძნებული, ალტერნატიული რეალისტური მექანიზმების შემუშავებას იმ პარტნიორი ქვეყნებისთვის, რომელთაც არ სურთ ეკონომიური ინტეგრაციის აღნიშნული ფართო შეთანხმების გაფორმება ევროკავშირთან;

- ეკონომიკური მოდერნიზაცია და სამეწარმეო საქმიანობის ხელშეწყობა, რომლის ფარგლებში განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა კვლევების, სამეცნიერო და ინოვაციური საქმიანობების წახალისებას;

- დასაქმების ხელშეწყობა შესაბამისი უნარ-ჩვევებისა და პროფესიული ცოდნის ამაღლების გზით. ამ კონტექსტში ახალი ENP-ი განსაკურებულ ყურაღებას აქცევს ახალგაზრდების დასაქმების წახალისებას;
- ტრანსპორტი და კავშირურთიერთობების განვითარება ტრანსევროპული სატრანსპორტო ქსელების აღმოსავლეთ პარტნიორებზე გავრცობის გზით;
- ენერგეტიკული უსაფრთხოებისა და კლიმატის საკითხებზე თანამშრომლობის გაძლიერება;
- უსაფრთხოების სფეროში თანამშრომლობის გაძლიერება, რაც გულისხმობს უსაფრთხოების სექტორის რეფორმის ხელშეწყობას პარტნიორ ქვეყნებში, ტერორიზმის, ტრანსსასაზღვრო ორგანიზებული დანაშაულის, კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლას;
- მიგრაცია და მობილურობა, რაც გულისხმობს პარტნიორ ქვეყნებთან გაძლიერებულ თანამშრომლობას როგორც არალეგალური და იძულებითი მიგრაციის წინააღმდეგ ბრძოლის, ასევე ლეგალური გადაადგილების ხელშეწყობის მიმართულებით. ამ კონტექსტში, ევროკავშირი მზად არის წაახალისოს შრომითი მიგრაციის ახალი სქემის შემუშავება წევრ ქვეყნებთან კოორდინაციით.

დოკუმენტის თანახმად, აღნიშნული მიზნების მისაღწევად ევროკავშირი გააძლიერებს თანამშრომლობას საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტებთან, ევროპული სამეზობლო ინსტრუმენტის ფარგლებში განსაზღვრული ფინანსური სახსრების გარდა, დამატებითი რესურსების მოძიების მიზნით.[15]

[15] რა არის ევროკავშირი?. http://infocenter.gov.ge/euinfo-the-eastern-partnership/ გვ.1.

3.2. ექსპერტთა შეხედულებები ევროკავშირის სამეზობლო პოლიტიკის შესახებ

ინტერვიუ, აღებულ იქნა შემდეგი პირებისგან:

1. ***ნიკა ჩიტაძე*** - შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის და კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, პოლიტოლოგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების დოქტორი;
2. ***თორნიკე შურღულაია***- სოხუმის უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, პოლიტიკურ მეცნიერებათა დოქტორი;
3. ***ავთანდილ ტუკვაძე***თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, სოციალურ მეცნიერებათა დოქტორი;
4. ***ვალერი მოდებაძე*** - კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, სოციალურ მეცნიერებათა დოქტორი;
5. ***სოსო ცისკარიშვილი*** - „დამოუკიდებელ ექსპერტთა კლუბის“ ხელმძღვანელი;

შეკითხვები:

1. თქვენი აზრით, აღმოსავლეთპარტნიორობის შეთანხმებამ რა გავლენა იქონიაზოგიერთი პოსტსაბჭოთა ქვეყნის ევროპული არჩევანის გაკეთებაზე და მათ შემდგომ ნაბიჯებზე? (საქართველო, სომხეთი, აზერბაიჯანი, უკრაინა, მოლდოვა,ბელორუსი)

2. რამდენად მომგებიანია ევროპული არჩევანი პოლიტიკური და ეკონომიკური თვალსაზრისით?

3. იყო თუ არა ამ სამეზობლო აღმოსავლეთპარტნიორობის ლოგიკური დასასრული საქართველოს მიერ ევროასოცირების ხელშეკრულებაზე ხელმოწერა და ვიზალიბერალიზაცია?

4. რა მოსალოდნელ სიკეთეებს ან საფრთხეებს ხედავთ ვიზალიბერალიზაციასთან დაკავშირებით?

5. პოსტსაბჭოთა ქვეყნების მიერ განვითარების განსხვავებული ვექტორის არჩევანი, რა ზეგავლენას იქონიებს რეგიონზე?

6. თქვენი აზრით, რა პერსპექტივა აქვს ევროკავშირს? რას იტყვით ევროსკეპტიკოსების რიცხვის ზრდაზე?

7.რა პერსპექტივები აქვთ იმ ქვეყნებს, რომლებსაც ღიად აქვთ გაცხადებული ევროპული გზით განვითარების არჩევანის შესახებ?

ნაწილი I

თქვენი აზრით, აღმოსავლეთპარტნიორობის შეთანხმებამ რა გავლენა იქონია ზოგიერთი პოსტსაბჭოთა ქვეყნის ევროპული არჩევანის გაკეთებაზე და მათ შემდგომ ნაბიჯებზე? (საქართველო, სომხეთი, აზერბაიჯანი, უკრაინა, მოლდოვა,ბელორუსი)

*კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, სოციალურ მეცნიერებათა დოქტორი - **ვალერი მოდებაძე** ფიქრობს რომ, ევროკავშირის სამეზობლო პოლიტიკის მთავარი მიზანი იყო იგი გარშემოტყმული ყოფილიყო დემოკრატიული და უსაფრთხო ქვეყნებით, თუმცა საბოლოოდ კონფლიქტების რიცხვი გაიზარდა.*

კერძოდ, კი ის აღნიშნავს - „ევროკავშირის სამეზობლო პოლიტიკის მიზანი იყო, რომ ევროკავშირი შემორტყმული ყოფილიყო დემოკრატიული, სტაბილური და უსაფრთხო ქვეყნებით. ამ პოლიტიკას ყველა მეზობლის მიმართ ახორციელებს. რაც შეეხება პოსტსაბჭოთა ქვეყნებს, აქ მხოლოდ სამ ქვეყანაში განხორციელდა ცვლილებები და რეფორმები, დანარჩენმა სამმა ქვეყანამ კი საერთოდ უარი თქვა ევროკავშირთან დაახლოებაზე, ეს პრობლემაც წარმოიშვა. თუ გადავავლებთ თვალს ამ სამეზობლო პოლიტიკას და შევაფასებთ, დავინახავთ რომ არც ისეთი ნაყოფიერი იყო ეს პოლიტიკა და

არც ისე სტაბილური გარემო ჩამოყალიბდა ევროკავშირის გარშემო, როგორც ადრე მიაჩნდათ მათ. სტაბილურობა კი არა, თუ დავაკვირდებით ევროკავშირის მეზობლებს, დავინახავთ, რომ ყველგან ცეცხლი გიზგიზებს, ყველგან კონფლიქტებია, განსაკუთრებით პოსტსაბჭოურ ქვეყნებში. ჩრდილოეთ აფრიკაშიც არასტაბილურობაა და ახლო აღოსავლეთშიც. სტაბილურობის ნაცვლად კონფლიქტების რაოდენობამ იმატა. იცით რომ 2008 წელს ომი დაიწყო საქართველოში, აგრესია გრძელდება უკრაინის მიმართ ყირიმის ოკუპაციის შემდეგ და ეს ქვეყნები უფრო არასტაბილურები გახდნენ. იგივე პრობლემები არის ახლო აღმოსავლეთშიც. სირიის კონფლიქტი დაიწყო 2011 წელს და დიდი რაოდენობით ლტოლვილები მიაწყდა ევროპას. ამან ევროპას ახალი პრობლემები შეუქმნა. აფრიკაც არასტაბილური გახდა მას შემდეგ, რაც რეჟიმები შეიცვალა(მაგალითად,არაბული გაზაფხულის შემდეგ), ლიბია უფრო არასტაბილური გახდა. დიდი რაოდენობით ლტოლვილები შევიდა ჩრდილოეთ აფრიკიდან ევროპაში. ამ ლტოლვილების მიგრაციას დაემატა პრობლემები, ტერორიზმის სახით გაჩნდა ახალი საფრთხე".

*შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტისა და კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, პოლიტოლოგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების დოქტორი -**ნიკა ჩიტაძე**მიიჩნევს, რომ აღმოსავლეთ პარტნიორობამ განსაკუთრებით დიდი გავლენა პოსტსაბჭოთა სამ ქვეყანაზე მოახდინა.*

კერძოდ კი ის აღნიშნავს - „აღმოსავლეთ პარტნიორობა არის მნიშვნელოვანი პროგრამა და ბუნებრივია მან დიდი გავლენა მოახდინა საქართველოს, უკრაინის და მოლდოვის საგარეო ორიენტაციაზე, ნაკლები ასახვა ჰპოვა ბელორუსის, სომხეთის და აზერბაიჯანის საგარეო ორიენტაციაზე. სომხეთი იძულებულია, გაატაროს პრორუსული პოლიტიკა და ამით შეინარჩუნოს ის ოკუპირებული ტერიტორიები, რომლებიც დაიპყრო 1994 წელს (ვგულისხმობ აზერბაიჯანის ტერიტორიას). აზერბაიჯანი დაბალანსებულ პოლიტიკას ატარებს რუსეთსა და დასავლეთს შორის. დასავლეთის მთავარი მოთხოვნა, რომ აზერბაიჯანმა დემოკრატიული რეფორმები გაატაროს, მისთვის მიუღებელია, ამიტომაც ამ

ქვეყანაში, აღმოსავლეთ პარტნიორობა, შედარებით ნაკლებ ეფექტური იყო. რაც შეეხება ბელორუსს,იგი კოლექტიური უსაფრთხოების ხელშეკრულების ორგანიზაციის და ევრაზიული კავშირის წევრია. მიუხედავად იმისა, რომ ლუკაშენკო გარკვეულწილად ცდილობს გაატაროს რუსეთისგან შედარებით დამოუკიდებელი პოლიტიკა, მიუხედავად ამისა ბელორუსი ჯერ კიდევ რჩება რუსულ სივრცეში".

*კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, პოლიტიკურ მეცნიერებათა დოქტორი - **თორნიკე შურღულაია** მიიჩნევს,რომ აღმოსავლეთ პარტნიორობა ევროკავშირის საგარეო პოლიტიკის მთავარი ინსტრუმენტი იყო, რომელმაც თავისი საქმე სამ ქვეყანაში წარმატებულად განახორციელა.*

კერძოდ, კი ის აღნიშნავს - „აღმოსავლეთ პარტნიორობა იყო ევროკავშირის საგარეო პოლიტიკის მთავარი ინსტრუმენტი, ევროკავშირი ამით აპირებდა, თავისი გაფართოვების პოლიტიკის მიღწევას და გეო - პოლიტიკური ინტერესების განხორციელებას. როგორც ინსტრუმენტი, ბუნებრივია, მან თავისი შედეგი გააკეთა. ფაქტობრივად, პლატფორმის 6 წევრიდან 3 გახდა პროევროპული ორიენტაციის-მოლდოვა, საქართველო და უკრაინა. თუმცა აქაც ერთგვარი გაურკვევლობაა, რადგან მოლდოვაში პრორუსული ძალები გაძლიერდნენ. საქართველოშიც არ არის სიტუაცია ნათელი და მკაფიო, საგარეო ორიენტაციის მიმართულებით. თავისთავად, საქართველო ევროკავშირის ასოცირებული წევრია და უვიზო მიმოსვლაც აქვს მიღებული. ამ პრიორიტეტებით უკვე უკრაინაც სარგებლობს, მაგრამ იგო ფაქტობრივად გახლეჩილია და არ შემდგარი ქვეყნის სტატუსის დონეზე დადის. უკრაინას ტერიტორიის დაახლოებით 40% გაუკონტროლებელი აქვს. ქვეყანაში ეკონომიკური ქაოსია,ამიტომ უკრაინა კი ფორმალურად ევროკავშირის ასოცირებული წევრია, მაგრამ ძალიან დიდი პრობლემები აქვს. რაც შეეხება სომხეთს, აზერბაიჯანს და ბელორუსს, ეს ქვეყნები პრორუსული ორიენტაციის არიან. შეგვიძლია მოლდოვაც პრორუსულ ორიენტაციას მივაკუთვნოთ, მიუხედავად იმისა რომ ფორმალურად ევროკავშირის ასოცირებული წევრია".

*კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, სოციალურ მეცნიერებათა დოქტორი - **ავთანდილ ტუკვაძე** მიიჩნევს, რომ აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნების ჩამონათვალი თავიდანვე ცოტა ეკლექტიკურად შედგა, რადგან მასში მონაწილე ქვეყნებს აქვს განსხვავებული დონე.*

კერძოდ კი ის აღნიშნავს - „ეს ჩამონათვალი, თავიდანვე ცოტა ეკლექტიკურად შედგა. აქ არის ქვეყნები, რომელთაც ეკონომიკური და პოლიტიკური განვითარების სხვადასხვა დონე აქვთ დადემოკრატიის ხარისხიც სხვადასხვაა ამ ქვეყნებში. გარკვეულწილად, ყოველთვის აღიარებული იყო, რომ დემოკრატიის ხარისხით საქართველო იყო ლიდერი, გარკვეულწილად მოლდოვა და უკრაინაც. ცოტა სხვაგვარად იყო შეფასებული აზერბაიჯანი, სომხეთი და ბელორუსი. მე ვგულისხმობ გლობალურ შეფასებას და გლობალურ ინდექსს. თავიდანვე ეს შემადგენლობა იყო უფრო ხელოვნურად, უფრო გეო-პოლიტიკური თვალსაზრისით, ვიდრე პრაგმატული თვალსაზრისით.

გარკვეულწილად ეს იყო, დაყენებული თამასა, რომ ამ ქვეყნებში დემოკრატიის ხარისხი გაზრდილიყო, ევროპული ღირებულებები ყოფილიყო ხელმისაწვდომი და აქეთ ყოფილიყო მიმართული ამ ქვეყნების ხედვა.

ჯერჯერობით, ხელშესახები მხოლოდ უვიზო რეჟიმია უკრაინისთვის, მოლდოვასთვის და საქართველოსთვის“.

*„დამოუკიდებელ ექსპერტთა კლუბის“ ხელმძღვანელი - **სოსო ცისკარიშვილი** ფიქრობს, რომ აღმოსავლეთ პარტნიორობა საქართველოსთვის წარმატებული აღმოჩნდა. მისი აზრით, ევროპა და ევროატლანტიკური სივრცე არის ქვეყნის წარმატების საწინდარი და საქართველომ სწორედ ამ მიმართულებით უნდა იაროს.*

კერძოდ კი ის აღნიშნავს - „ჩვენ დავიჩემეთ (ნაციონალების ხელისუფლების დროს), რომ 5 წლიანი გეგმა უნდა შეგვესრულებინა 3 წელში და ეს იქნებოდა ჩვენი ვალდებულებაც და დამოკიდებულების დაფიქსირებაც ევროკავშირის მიმართ.

სომხეთის პრეზიდენტი, იმავე დღეებში(ევრონიუსის სიუჟეტში), კითხვაზე, თუ რა დამოკიდებულება გექნებათ ევროკავშირთან პასუხობს ასე, რომ ევროკავშირი თავად ვერ გარკვეულა რამდენნი არიან და რამდენ უნდა იყვნენ. ეს საკითხი არის სომხეთის მომდევნო თაობების ექსპერტების გასარჩევი, ანუ ფაქტობრივად დისტანცირდა ამ თემისგან.

აზერბაიჯანი კი, როგორც ყოველთვის, მდუმარებით შეხვდა ამ ფაქტს. მაგრამ ფაქტია, რომ იგი მყარად გრძნობს თავს. უპირველეს ყოვლისა ეს გამოწვეულია იმით, რომ განსხვავებით საქართველოსგან მას აქვს შესაძლებლობები აირჩიოს პოლიტიკური ვექტორები, კერძოდ მისი სწრაფვა ევროპისკენ ცხადია დიდი ნაწილისთვის საუკეთესო ვარიანტია, მაგრამ თუ თავი საკმარისად კომფორტულად ვერ იგრძნეს ევრაზიულ კავშირთანაც მშვენივრად იგრძნობენ თავს. ჩვენ, ასეთი არჩევანის არც სურვილი და არც ფუფუნება არ გვაქვს. ყველა წინა პერიოდი გვარწმუნებდა იმაში, რომ მხოლოდ ევროპა და ევროატლანტიკური სივრცე შეიძლება გახდეს ჩვენი ქვეყნის წარმატების საწინდარი“.

ნაწილი II

2. რამდენად მომგებიანია ევროპული არჩევანი პოლიტიკური და ეკონომიკური თვალსაზრისით?

*კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, სოციალურ მეცნიერებათა დოქტორი - **ვალერი მოდებაძე** ფიქრობს რომ, საქართველოსთვის ევროკავშირისკენ სწრაფვა მომგებიანია, თუნდაც იმ მთელი რიგი რეფორმების გამო, რომელსაც ის ითვალისწინებს.*

კერძოდ კი ის აღნიშნავს - „ამ 6 ქვეყნიდან პროევროპული არჩევანი, როგორც ვთქვით, გააკეთა სამმა: უკრაინა მოლდოვა და საქართველო, რომლებმაც ასოცირების ხელშეკრულება გააფორმეს ევროკავშირთან. დანარჩენი 3 ქვეყანა დაშორდა ევროკავშირს. ბელორუსიაში დიქტატორული რეჟიმი დამყარდა, აზერბაიჯანში ავტორიტარული მმართველობაა, ალიევის კლანი მართავს იქაურობას.

ჩვენი ქვეყნისთვის მომგებიანია, რადგან ეს სამეზობლო პოლიტიკა ითვალისწინებს რეფორმებს სხვადასხვა სფეროში. რა თქმა უნდა ქვეყანას უჩნდება მოტივაცია, რომ ეს რეფორმები გაატაროს, რათა უფრო დემოკრატიული გახდეს, უფრო დაუახლოვდეს ევროპულ სტანდარტებს. თუ ეს რეფორმები ისე გატარდება, როგორც ამას ევროკავშირი ითხოვს, ჩვენ მოგვიწევს დემოკრატიულ ქვეყანაში ცხოვრება, მაგრამ პრობლემა არის პოლიტიკური ნების სათანადო დონეზე არქონა".

*შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტისა და კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, პოლიტოლოგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების დოქტორი -**ნიკა ჩიტაძე** ფიქრობს, რომ ევროპული არჩევანი საქართველოსთვის ეკონომიკურად უფრო მომგებიანი აღმოჩნდა, ვიდრე პოლიტიკურად.*

კერძოდ კი,ის მიიჩნევს - „მას შემდეგ რაც საქართველომ ხელი მოაწერა, ასოცირების შესახებ შეთანხმებას, ამან ხელი შეუწყო ტვირთბრუნვის ზრდას. ევროკავშირზე მოდის საქართველოს საგარეო ვაჭრობის 26-27 %. ქართული ექსპორტის მოცულობა ევროკავშრის ბაზარზე, აჭარბებს 400 მლნ.დოლარს, რაც მისასალმებელია. ეკონომიკური თვალსაზრისით პროგრესი შეიმჩნევა, სამწუხაროდ , დემოკრატიის განვითარებასთან დაკავშირებით პრობლემები რჩება. პოლიტიკური თვალსაზრისით მდგომარეობა არ არის სახარბიელო, საქართველო რჩება ნაწილობრივ თავისუფალ ქვეყნად, ჯერჯერობით ვერ აკმაყოფილებს ევროკავშირის სტანდარტებს, ამას მთელი რიგი მიზეზები აქვს :ჩვენს ქვეყანაში ჯერჯერობით შერჩევითი სამართალია, არ არსებობს დამოუკიდებელი სასამართლო.ამის მაგალითია - ევროპის საბჭოს, როგორც ერთ-ერთი უმაღლესი სტრუქტურის რეაქცია რუსთავი 2-ის საქმეზე, ამიტომაც შეიძლება ითქვას, რომ ეკონომიკური თვალსაზრისით პროგრესი უფრო შეიმჩნევა და გარკვეული პროგრესი შეიმჩნევა თავდაცვისა და უსაფრთხოების მიმართულებით, ვინაიდან საქართველო ევროკავშირის ეგიდით ჩაერთო სამშვიდობო ოპერაციებში (ცენტრალურ აფრიკასა და მალიში).

*კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, პოლიტიკურ მეცნიერებათა დოქტორი - **თორნიკე შურღულაია** ფიქრობს, რომ ამ ეტაპზე ევროკავშირისკენ სვლა საქართველოსთვის მომგებიანია.*

კერძოდ, ის აღნიშნავს - „ამეტაპზე, მომგებიანია და საზოგადოებაშიც არსებობს კონსენსუსი, თუმცა ბოლო NDI-ის კვლევების მიხედვით, ქვეყანაში გაიზარდა საბჭოთა ნოსტალგია, ევრაზიულ კავშირთან გაერთიანების მომხრეების რიცხვი და ის 42%-ს გაუტოლდა. საბედნიეროდ, 58 % ჯერკიდევ რჩება ევროკავშირში გაწევრიანების მომხრედ. ევროკავშირში და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში გაერთიანება არ არის მხოლოდ იმაზე დამოკიდებული, რამდენადაა მიღწეული ეროვნულიკონსენსუსი, ამას უნდა ჰქონდეს გამყარებული ნაბიჯები ევროკავშირის და ნატოს მხრიდანაც. რა თქმა უნდა, ჩვენთვის მნიშვნელოვანია ევროპული გზით სვლა, ეს ბევრ რამეს მოგვიტანს. ევროპულ ოჯახში გაწევრიანება არის დიდი მოგების და დემოკრატიული ქვეყნის მშენებლობის გარანტია, თუმცა მოკლევადიან პერიოდში, თუ გრძელვადიან პერიოდში ეს ტენდენცია შენარჩუნდა, არ იქნებაკარგი“.

*კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, სოციალურ მეცნიერებათა დოქტორი - **ავთანდილ ტუკვაძე** მიიჩნევს, რომ ევროკავშირისკენ სწრაფვა საქართველოსთვის ძალიან მომგებიანია, ამით ხელი ეწყობა საერთაშორისო სტანდარტების დამკვიდრებას ჩვენს ქვეყანაში.*

კერძოდ ,ის აღნიშნავს - „პირველ რიგში, ეკონომიკური თვალსაზრისით, იხსნება უდიდესი ევროპული ბაზარი, სადაც ევროკავშირის ძველი და შემდგომ შემატებული წევრები, იღებენ ვალდებულებას, რომ არ დაიჩაგრონ ახალი ევროპული კურსისკენ მიმავალი ქვეყნები. ისინი გვეხმარებიან საერთაშორისო სტანდარტების დაცვაში, განსაკუთრებით ეს ეხება იმ მიმართულებას, რაც საქართველოსთვის მნიშვნელოვანია: ღვინის ექსპორტი, ადგილობრივი სურსათი. ეკონომიკურად რა თქმა უნდა ხელსაყრელია. საფრთხე და შიში საქართველოში და სხვა ქვეყნებში, იმისა რომ დაგვიპყრობენ ევროპული ქვეყნები, მე

ვფიქრობ გადამეტებულია. სჯობს ევროპულმა ქვეყნებმა დაგვიპყრონ და ევროპულმა ხარისხმა, ვიდრე სხვა ქვეყნების დაბალი ხარისხის პროდუქციამ.

პოლიტიკურად რაც შეეხება, დემოკრატიის უფრო მაღალი ხარისხია, ჩვენ კი რა თქმა უნდა ამისკენ მივისწრაფვით".

*„დამოუკიდებელ ექსპერტთა კლუბის" ხელმძღვანელი - **სოსო ცისკარიშვილი** აღნიშნავს, რომ საქართველო თავისი არსებობის განმავლობაში, დღეს ყველაზე უფრო დემოკრატიულია, თუმცა არის გარკვეული პრობლემები პრეზიდენტის შეზღუდულ უფლებამოსილებასთან დაკავშირებით.*

კერძოდ, ის აღნიშნავს - „არსებობს ფრაზა, რომელსაც ხშირად ვიყენებთ, ესაა - დემოკრატია.ვერც რომელიმე მეფის პერიოდში, მითუმეტეს საბჭოთა პერიოდში საქართველო ვერ დაიტრაბახებდა დემოკრატიით. ჩვენ ვისმენდით ევროპელი კოლეგებისგან, რომ ჩვენი ქვეყანა პოსტ-საბჭოთა სივრცეში იყო უფრო წარმატებული დემოკრატიის თვალსაზრისით ან იყო ლიდერი სამხრეთ კავკასიაში. ჩემთვის, ეს იყო არც თუ საამური მოსასმენი, რადგან ჯანსაღი დემოკრატია არის, როცა მისი ყველა ნიუანსი ამოქმედებულია. ის რომ უმეცრებში პირველი ხარ, არ ნიშნავს რომ ჭკვიანი ხარ. ასეა ამ შემთხვევაშიც და დემოკრატიულობა იყო ზოგადად ჩვენი საზოგადოების ოცნება. ჩვენ დავიწყეთ ამ მიმართულებით სვლა, მიუხედავად იმისა, რომ საზოგადოების მიერ არჩეული პრეზიდენტები ვერ აღიქმებოდა დემოკრატიის ეტალონად. მაგრამ ის რასაც ახლა ვაკვირდებით, ის რომ პრეზიდენტი წინამორბედებთან შედარებით ყველაზე უფრო დემოკრატიულია თავისი ქმედებებით და ცნობიერებით, აღმოვჩნდით კიდევ უფრო უარეს პირობებში, რადგან პრეზიდენტს აღარ გააჩნია შესაბამისი ძალაუფლება ქვეყნის მართვისათვის.

ნაწილი III

იყო თუ არა ამ სამეზობლო აღმოსავლეთ პარტნიორობის ლოგიკური დასასრული საქართველოს მიერ ევრო ასოცირების ხელშეკრულებაზე ხელმოწერა და ვიზალიბერალიზაცია?

*კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, სოციალურ მეცნიერებათა დოქტორი - **ვალერი მოდებაძე** ფიქრობს რომ, აღმოსავლეთ პარტნიორობამ კიდევ უფრო გააღრმავა ურთიერთობები და ეს დასასრული ნამდვილად არ არის.*

კერძოდ, ის აღნიშნავს - „მე, დასასრულს არ დავარქმევდი, პირიქით ამან უფრო გააღრმავა ურთიერთობები ევროკავშირსა და საქართველოს შორის. საქართველოს უჩნდება მოტივაცია, რომ კიდევ უფრო სწრაფად განახორციელოს რეფორმები. ასოცირების ხელშეკრულებას მოჰყვა ის რომ მოეწერა ხელი ჩვენთვის უმნიშვნელოვანეს ხელშეკრულებას, ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ, რომელიც ახალ შესაძლებლობებს უჩენს საქართველოს. ეს კარგია, რადგან ხელს შეუწყობს ჩვენი პროდუქციის გატანას ევროკავშირში. ძალიან მნიშვნელოვანი მოვლენა იყო ვიზალიბერალიზაციის პროცესი, რომელიც წარმატებით დასრულდა“.

*შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტისა და კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, პოლიტოლოგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების დოქტორი -**ნიკა ჩიტაძის** აზრით, აღმოსავლეთ პარტნიორობის ერთ-ერთი ლოგიკური დასასრული ნამდვილად იყო ვიზალიბერალიზაცია.*

*კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, პოლიტიკურ მეცნიერებათა დოქტორი - **თორნიკე შურღულაია** მიიჩნევს რომ ეს დასასრული კი არა, ლოგიკური შედეგი იყო, ლოგიკური დასასრული კი საქართველოს ევროკავშირში გაწევრიანება იქნება.*

*კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, სოციალურ მეცნიერებათა დოქტორი - **ავთანდილ ტუკვაძე** მიიჩნევს, რომ ეს პროცესის დასასრული*

სულაც არ არის, რადგან ჩვენ ჯერჯერობით მოსაცდელ ოთახში ვართ იმასთან შედარებით, რასაც ევროკავშირი ჰქვია. ექსპერტის აზრით, ვიზალიბერალიზაცია დასაწყისადაც შეგვიძლია მივიჩნიოთ, რადგან საქართველოს ბევრი ეტაპი წინ აქვს.

*„დამოუკიდებელ ექსპერტთა კლუბის“ ხელმძღვანელი - **სოსო ცისკარიშვილი** ვიზალიბერალიზაციას დასასრულად კი არა, ახალი ეტაპის საწყისად მიიჩნევს და თვლის რომ ეს დიდი წინ გადადგმული ნაბიჯია.*

ნაწილი IV

რა მოსალოდნელ სიკეთეებს ან საფრთხეებს ხედავთ ვიზალიბერალიზაციასთან დაკავშირებით?

*კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, სოციალურ მეცნიერებათა დოქტორი - **ვალერი მოდებაძე** ვიზალიბერალიზაციის დადებით მხარედ გამარტივებულ მგზავრობის რეჟიმს, ხოლო საფრთხედ მიგრაციას მიიჩნევს.*

კერძოდ კი აღნიშნავს - „რა თქმა უნდა მედალს ორი მხარე აქვს, დადებითი და უარყოფითი. დადებითი ის არის, რომ მოგზაურობა ევროკავშირში გამარტივდა, აღარ გვჭირდება ვიზა. მაგრამ მეორე საფრთხეც არის - ის რომ ქვეყანა მოსახლეობისგან იცლება,დემოგრაფიული კრიზისია ქვეყანაში. თუ ადამიანს შეეძლო არალეგალად წასულიყო ევროპაში და დარჩენილიყო, დღეს ამის შესაძლებლობა აღარაა, ამით არალეგალების მდგომარეობაც გაუარესდა“.

*შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტისა და კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, პოლიტოლოგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების დოქტორი -**ნიკა ჩიტაძე** ფიქრობს, რომ ვიზალიბერალიზაცია და ევროკავშირთან*

ურთიერთობების გაღრმავება ხელს შეუწყობს ქართული ექსპორტის ზრდას ევროპულ ბაზარზე.

კერძოდ ის აღნიშნავს - „ევროპულ გზაზე ვხედავ სიკეთეებს რაღა თქმა უნდა, რაც ხელს შეუწყობს ქართული ექსპორტის ზრდას ევროპულ ბაზარზე, ქართული ეკონომიკის ინტეგრაციას ევროპაში, აუცილებელია აღვნიშნოთ, იმ ენერგეტიკული პროექტების შესახებ, რომლებიც დღის წესრიგშია. მაგალითად, ტრანს-ანატოლიური მილსადენის პროექტი, რომელიც გულისხმობს გაზის ტრანსპორტირებას აზერბაიჯანიდან თურქეთისა და საქართველოს საზღვრების გავლით, დაახლოებით 10 მლნ. კუბურ მეტრ ბუნებრივ აირზე არის საუბარი, ამიტომაც საქართველომ ამ მხრივ შეიძლება შეასრულოს გარკვეული მნიშვნელოვანი როლი. ასევე აღსანიშნავია, ბაქო-თბილისი-ახალქალაქი-ყარსის რკინიგზა, რომლიდანაც პირველ ეტაპზე იგეგმება 5 მლნ. ტვირთის და მეორე ეტაპზე 17 მლნ.ტვირთის ტრანსპორტირება, ევროპიდან აზიის მიმართულებით და პირიქით. ევრაზიული სატრანსპორტო დერეფანი, ენერგეტიკული პროექტები, იქნება ერთ-ერთი განმსაზღვრელი საქართველო-ევროკავშირის ურთიერთობებში. ამიტომაც მე მგონია, რომ საქართველოსთვის მნიშვნელოვანი არის ევროკავშირთან დაახლოება. შეიძლება გაჩნდეს პერსპექტივები, რომ საქართველოს ტერიტორიაზე არსებული კონფლიქტები გადაიჭრეს მშვიდობიანი გზით. ისევე როგორც თავის დროზე კვიპროსის ბერძნული ნაწილის ევროკავშირში გაწევრიანების საკითხი დადგა დღის წესრიგში, თურქულმა ნაწილმა,სეპარატისტული რეგიონის 65%-მა რეფერენდუმზე მხარი დაუჭირა კვიპროსის გაერთიანებას“.

კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, პოლიტიკურ მეცნიერებათა დოქტორი - ***თორნიკე შურღულაია*** *დადებით მომენტად დემოკრატიული ინსტიტუტების ზრდას და ეკონომიკურ განვითარებას მიიჩნევს, ხოლო საფრთხედ რუსეთისგან მომავალი ზეწოლა და მიგრაცია მიაჩნია.*

კერძოდ, კი ის აღნიშნავს - „დადებითი მომენტი, პირველ რიგში არის ის, რომ საქართველოში დემოკრატიული პოლიტიკური ინსტიტუტების საფუძველი იქნება მყარი და ძლიერი, ავტორიტარული და ტოტალიტარული მიმართულებით წასვლის ტენდენცია კი

მცირე და შეუძლებელიც კი. მეორე ისაა, რომ ეკონომიკური განვითარების ტემპები შეიძლება გახდეს საკმაოდ დიდი და მესამე, ფასეულობათა თავსებადობა, ანუ ჩვენ ვიქნებით ევროპული ოჯახის წევრები.

გამოწვევები, შეიძლება იყოს როგორც შიდა ისე გარე მიგრაცია და რუსეთისაგან მომავალი ზეწოლა, რადგან 2012 წელს მაშინდელმა პრეზიდენტმა მედვედევმა განაცხადა, რომ რუსეთისთვის მიუღებელია როგორც ნატოს, ისე ევროკავშირის გაფართოვება. ეს მნიშვნელოვანი მომენტია და სხვათაშორის უკრაინაში რაც მოხდა, იგივე როცა იანუკოვიჩს ხელი უნდა მოეწერა ევროასოცირების ხელშეკრულებაზე, სწორედ მაშინ დაიწყო მაიდანის რევოლუცია".

*კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, სოციალურ მეცნიერებათა დოქტორი - **ავთანდილ ტუკვაძე** ფიქრობს რომ ვიზალიბერალიზაცია მოგვიტანს მაღალ კონკურენციას და შესაბამისად მაღალ ხარისხს, ხოლო საფრთხედ უკანონო მიგრაციას მიიჩნევს.*

კერძოდ, კი აღნიშნავს - „სიკეთედ, მივიჩნევ თანამედროვე ტექნოლოგიებსა და თანამედროვე მენეჯმენტს, რისიც ადგილობრივ მწარმოებლებს არ უნდა შეეშინდეთ. აღიარებული წესია, რომ მაღალ კონკურენციაში იბადება მაღალი ხარისხი და გამოცდილება.

რაც შეეხება საფრთხეებს, შესაძლოა არსებობდეს მიგრაციის საფრთხე. სავიზო რეჟიმის გამარტივება, გარკვეულწილად შეიძლება ცდუნება აღმოჩნდეს საზოგადოების გარკვეული ნაწილისთვის და მათ სცადონ უკანონო გამგზავრება სამსახურის მოძებნის მიზნით".

*„დამოუკიდებელ ექსპერტთა კლუბის" ხელმძღვანელი - **სოსო ცისკარიშვილი** მიიჩნევს რომ რაც კარგი აქვთ ევროპელებს, იმაში უნდა მივბაძოთ და თუ გავყვებით ამ გზას, ბევრ სიკეთეს მოგვიტანს. საფრთხედ კი ექსპერტს კრიმინალები მიაჩნია.*

კერძოდ, კი ის აღნიშნავს - „თუ ჩვენი წინსვლა იქნება იმ ჩარჩოში, რასაც ჰქვია მისაბაძი ევროპა, რა საკვირველია, ჩვენ ამას ვიგრძნობთ, ჩვენ ამას მივესალმებით, მაგრამ მხოლოდ ანგელოზებით დახუნძლული ტერიტორია დედამიწაზე არ არსებობს. ყველა ქვეყანას აქვს საშინაო და საგარეო გამოწვევები, თუმცა არ უნდა მოვახდინოთ რაღაცეების კოპირება.

თუ ჩვენ საკუთარ ქცევებში ვარღვევთ იმ პირობებს, რომლითაც მივიღეთ ვიზალიბერალიზაცია, მაშინ გავიხსენოთ, რომ რაც მოგივა დავითაო, ყველა შენი თავითაო. ასეთ ვითარებაში ჩვენდამი ნდობა დაიკლებს და კიდევ კარგი რომ საქართველოს ხელისუფლება იღებს ვალდებულებას ჩამოიყვანოს მისი მოქალაქეები და გადაიხადოს ჯარიმები. ვიზალიბერალიზაციას წინ უსწრებდა პროცესი, რომელიც გულისხმობდა საზღვარგარეედ მყოფი არალეგალების დაბრუნებას სამშობლოში. ჩვენ ამაში დიდი ძალა დავხარჯეთ. რაც შეეხება კრიმინალებს იყვნენ, არიან და უნდა ვინატროთ რომ შემცირდეს. სამწუხაროდ, ჩვენი ბევრი მოქალაქე არის ევროპის ციხეებში, ისინი ვერ იქნებიან მისაღები ვერც იმ ქვეყნისთვის და ვერც ჩვენთვის. ახლა ამერიკაშიც აღმოჩნდა ოცამდე ქართველი ტერორისტი, აქამდე მხოლოდ ევროპაში იყო ეს პრობლემა“.

ნაწილი V

პოსტსაბჭოთა ქვეყნების მიერ განვითარების განსხვავებული ვექტორის არჩევანი, რაზეგავლენას იქონიებს რეგიონზე?

*კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, სოციალურ მეცნიერებათა დოქტორი - **ვალერი მოდებაძე** მიიჩნევს, რომ რეგიონს ამ ორი ვექტორის არსებობამ უკვე ბევრი ზიანი მოუტანა. დღეს არსებულ გაყინულ კონფლიქტებსაც ევრაზიული კავშირის შექმნის იდეას მიაწერს.*

კერძოდ, კი ის აღნიშნავს - „ერთი მხრივ ეს არის ერთიანი ევროპის იდეა, მეორე მხრივ ევრაზიული კავშირი. როდესაც ევრაზიული კავშირი შეიქმნა, არ იყო გათვალისწინებული

რუსეთის მხრიდან მომდინარე საფრთხეები, შესაბამისად, ევროპელებს არ ჰქონდათ არანაირი სტრატეგია იმისა, თუ როგორ უნდა შეეკავებინათ რუსეთი და როგორ უნდა აღმოეფხვრათ ის საფრთხეები, რაც აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებს შეექმნათ(უკრაინას, საქართველოს). გაყინული კონფლიქტების სტრატეგიაც არ არის. სწორედ, ევრაზიული კავშირიდან მომდინარე საფრთხის შესაჩერებლად, ევროკავშირმა, 2015 წელს, შეცვალა სამეზობლო პოლიტიკა. ყირიმში ომის დაწყების მიზეზად, სწორედ ევრაზიული კავშირი სახელდება. საქართველოში რუსეთის შემოჭრის ერთ-ერთი მიზეზი ევრაზიული კავშირის შექმნის სურვილი იყო (შედეგად რუსეთმა მოახდინა აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ოკუპაცია). აქვე აღსანიშნავია ის, რომ სომხეთი რუსეთის გავლენით, დაშორდა ევროპას და ევრაზიულ კავშირში გაწევრიანდა. სომხეთის ხელისუფლებას სურს ევროკავშირთან ურთიერთობების გაღრმავება, მაგრამ აქ შემაფერხებელი არის რუსეთის ფაქტორი, რომელიც აშანტაჟებს სომხეთს, რადგან მას ყარაბაღის პრობლემაც აქვს“.

*შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტისა და კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, პოლიტოლოგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების დოქტორი -**ნიკა ჩიტაძე** ფიქრობს, რომ რეგიონში არსებული განსხვავებული ვექტორების არსებობა, აფერხებს ევროინტეგრირების პროცესს.*

კერძოდ, ის აღნიშნავს - „ბუნებრივია, რეგიონში არსებული კონფლიქტები და განსხვავებული საგარეო ორიენტაციის ქონა საქართველოს, აზერბაიჯანსა და სომხეთს შორის, გარკვეულწილად აფერხებს მთლიანად რეგიონის ინტეგრაციის პროცესს ევროკავშირში.

რადგან ევროკავშირს ჰქონდა რეგიონული მიდგომა. მაგალითად, ბალტიისპირეთის ინტეგრაციას თუ ავიღბთ, ევროინტეგრაცია გაადვილდა, რადგან სამივე ქვეყანას ერთი და იგივე საგარეო პოლიტიკური ორიენტირი ჰქონდა. ამჯერად, საუბარია არა მხოლოდ კავკასიის რეგიონზე, არამედ შავი ზღვის რეგიონზე. მართალია საქართველომ, მოლდოვამ და უკრაინამ მოაწერეს ხელი ასოცირების შეთანხმებას და მიიღეს უვიზო მიმოსვლა, მაგრამ გარკვეულწილად მეორეს მხრივ, პრობლემას წარმოქმნის თვითონ მოლდოვაში განვითარებული მოვლენები, სადაც მოსახლეობამ არჩევნებზე პრორუსულ

კანდიდატს დაუჭირა მხარი. თითოეულ იმ ქვეყანას, რომელმაც ასოცირებას ხელი მოაწერა, განსხვავებული სპეციფიკა გააჩნიათ ევროკავშირთან მიმართებაში“.

*კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, პოლიტიკურ მეცნიერებათა დოქტორი - **თორნიკე შურღულაია** მიიჩნევს, რომ რეგიონში ორი ვექტორის არსებობა საკმაოდ სახიფათოა, რადგან აქ იკვეთება ორივე ვექტორის ინტერესები.*

კერძოდ, კი ის აღნიშნავს - „ამან შესაძლოა დააბალანსოს კიდეც პლატფორმა. ევრაზიული ეკონომიკური კავშირის და ევროკავშირის ერთიანი შეხების წერტილი იყოს კავკასია, სადაც ისინი ითანამშრომლებენ, მაგრამ მეორეს მხრივ საუბარია, რომ ასეთმა პოლიტიკამ შესაძლოა კიდევ უფრო მეტი აგრესია გამოიწვიოს რუსეთის მხრიდან .მითუმეტეს, რომ ევროკავშირს გამოცხადებული აქვს ეკონომიკური სანქციები, რუსეთის წინააღმდეგ და მიდის ახალი ცივი ომი. ამ მხრივ უფრო დიდია რისკი, ვიდრე პოზიტიური ტენდენციები“.

*კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, სოციალურ მეცნიერებათა დოქტორი - **ავთანდილ ტუკვაძე** ფიქრობს, რომ მიმდინარეობს გარკვეული დაპირისპირებები ევრაზიული კავშირის შიგნით და ჩვენთვის ევროკავშირი უფროა მრავალფეროვანი განვითარების საშუალება.*

ის აღნიშნავს შემდეგს - „დღეს, პოსტ-საბჭოთა სივრცეში დიდი არჩევანი არ არის. გვაქვს ევრაზიული კავშირი - რუსეთის დომინანტურობით და ევროკავშირი. ევრაზიული კავშირის წევრების შიგნით მიდის ღია და უფრო მეტად ფარული დაპირისპირება. თუნდაც ყაზახეთსა და რუსეთს შორის, ბელორუსსა და რუსეთს შორის. გარკვეულწილად სომხეთი აქ უფრო მოცდის პოზიციაშია, მას საექსპორტო პოტენციალი არ აქვს. ეს ევრაზიული კავშირი სომხეთისთვის პოლიტიკური სარჩული უფროა ვიდრე ეკონომიკური და პოლიტიკური ინტერესი.

საბოლოოდ, ევროკავშირი უფრო მრავალფეროვანი განვითარების საშუალებას მოგვცემს“.

*„დამოუკიდებელ ექსპერტთა კლუბის“ ხელმძღვანელი - **სოსო ცისკარიშვილი** ფიქრობს, რომ ძირითადად რეგიონში ორი არჩევანია - ევროკავშირი და ევრაზიული ეკონომიკური კავშირი და რომ არა რუსეთის აგრესია, საქართველოშიც ბევრი მომხრე ეყოლებოდა ევრაზიულ ეკონომიკურ კავშირს.*

კერძოდ, კი ის მიიჩნევს - „რეგიონს ჰქონდა შესაძლებლობა ჩვენნაირი არჩევანის. რომ არა რუსეთის აგრესიული დამოკიდებულება, ჩვენთანაც სერიოზული განხილვის საგანი იქნებოდა ევრაზიული კავშირი.

მოლდოვას მეტი დრო ჰქონდა ევროკავშირთან დასაახლოვებლად. რუმინეთი აღიქვამდა მოლდოვას, როგორც საკუთარ ნაწილს, შესაბამისად როგორც ევროპის ნაწილს, მაგრამ როგორც კი შეიცვალა პრეზიდენტი, ბოლო არჩევნების შემდეგ, მან განაცხადა, რომ არ აინტერესებს ევროკავშირი და მოისურვა გახდეს ევრაზიული კავშირის წევრი. ამ ყველაფერს კარგად იყენებს რუსეთი და იქით ახვეწნინებს, რომ ისინი გახდნენ ევრაზიული კავშირის წევრები.

აზერბაიჯანს, ევროკავშირის მიმართ, უდიდესი ინტერესების მიუხედავად, აქვს არჩევანის საშუალება, საქართველოს კი, ამის არც ფუფუნება და არც სურვილი გააჩნია“.

ნაწილი VI

თქვენი აზრით, რა პერსპექტივა აქვს ევროკავშირს? რას იტყვით ევროსკეპტიკოსების რიცხვის ზრდაზე?

*კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, სოციალურ მეცნიერებათა დოქტორი - **ვალერი მოდებაძე** მიიჩნევს რომ როცა ძლიერია ევროპა-ევროსკეპტიკოსების რიცხვი იკლებს, ხოლო როცა სუსტია - პირიქით. მას ბრექსიტი დროებით მოვლენად მიაჩნია.*

კერძოდ, კი ის აღნიშნავს - „ევროსკეპტიკოსების რაოდენობის ზრდა მსოფლიოში ევროპაში მიმდინარე კრიზისით არის გამოწვეული, მაგრამ ეს დროებითია. როდესაც

ძლიერია ევროპა - ევროსკეპტიკოსების რაოდენობა მცირდება, როდესაც სუსტია - იმატებს. ამის მაგალითია ის, რომ ჩვენს მეზობელ თურქეთს აღარ სურს ევროკავშირში გაწევრიანება. ევროსკეპტიკოსების რიცხვის ზრდა დროებითი მოვლენაა, რადგან ბრიტანელებმა დაინახეს, რომ მათთვის წამგებიანია ევროკავშირის დატოვება და უკვე მიდის საუბარი იმაზე, თუ რა ზიანი მიადგება ბრიტანეთს ევროკავშირის დატოვებით. გაჩნდა ბრიტანეთის დაშლის რეალური საფრთხე. ერთის მხრივ ქვეყანაში ჩნდება ეკონომიკური პრობლემები, ევროკავშირის დატოვების გამო (ეკონომიკური კრიზისი დაიწყო, ეკონომიკური ზრდა ისეთი აღარ არის, როგორც წინა წლებში იყო). მოსახლეობა ხედავს იმას, რომ მათთვის წამგებიანია ბრექსიტი. მე ბრექსიტი დროებით მოვლენად მიმაჩნია. ახლა ხელისუფლება იცვლება დიდ ბრიტანეთში და როცა ახალი ხელისუფლება მოვა, იმედია მიიღებს სწორ გადაწყვეტილებას. ამჟამად ევროკავშირის მიზანი არ არის გაფართოვება, არამედ ის არის რომ ვისთანაც სამეზობლო პოლიტიკას ატარებს იმ ქვეყნებში დამყარდეს დემოკრატია და უსაფრთხოება. თუ რომელიმე ქვეყანა ევროპულ სტანდარტებს დაუახლოვდება,არ არის გამორიცხული ინტეგრაცია, მაგრამ ეს შორეული პერპექტივაა“.

*შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტისა და კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, პოლიტოლოგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების დოქტორი -**ნიკა ჩიტაძე** ევროკავშირს ერთ-ერთ ძალიან წარმატებულ ორგანიზაციად მიიჩნევს და თვლის, რომ ევროკავშირს ბრიტანეთის დატოვებით დაშლა ნამდვილად არ ემუქრება.*

კერძოდ, კი ის აღნიშნავს - „რა თქმა უნდა პერსპექტივები ევროკავშირს გააჩნია, ეს არის ერთადერთი წარმატებული ორგანიზაცია ეკონომიკური მიმართულებით, ნაფტასთან ერთად,ვინაიდან და რადგანაც 1957 წლის შემდეგ, რა ხელი მოეწერა რომის ხელშეკრულებას, წარმატებით მოხერხდა, ინტეგრაციული პროცესების განვითარება. ის რომ ბრიტანეთი ტოვებს ევროკავშრს, არ ნიშნავს, რომ ევროკავშირი იშლება და ბუნებრივია ეს არის აფსოლუტური ტყუილი. შეიძლება ბრიტანეთმა დატოვოს და ის

სავარაუდოდ დატოვებს ევროკავშირს, მაგრამ მეორეს მხრივ, როცა ევროკავშირი შეიქმნა 6 სახელმწიფო მოიაზრებოდა და დღეს 28 სახელმწიფო არის მისი წევრი.

*კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, პოლიტიკურ მეცნიერებათა დოქტორი - **თორნიკე შურღულაია** მიიჩნევს, რომ დღეს ევროკავშირი დიდ ბიუროკრატიულ გაერთიანებად არის გადაქცეული, რომლის პოლიტიკური შიგთავსიც იფიტება და დიდხანს ვერ იარსებებს.*

კერძოდ კი, ის აღნიშნავს - „ევროკავშირი, სამწუხაროდ დღეს გადაიქცა დიდ ბიუროკრატიულ გაერთიანებად.ის მე მაგონებს ცივი ომის პერიოდში არსებულ ეკონომიკური ურთიერთ დახმარების საბჭოს-სევის. ეს იყო სოციალისტური ქვეყნების გაერთიანება, სადაც ბიუროკრატიული აპარატი გაცილებით დიდი იყო და ემორჩილებოდა მოსკოვში მოკალათებულ ბიუროკრატებს. დღეს იგივე მომენტი არის ბრიუსელში, იქ მყოფი ბიუროკრატები დომინირებენ ყველა სხვა სახელმწიფოზე და ართმევენ მათ სუვერენიტეტს. ბრექსიტის პროცესის ერთ-ერთი გამომწვევი ესეც იყო. ბრექსიტის შემდეგ უთანხმოებები ბრიუსელთან მოუვიდა ვარშავას, ბუდაპეშტს, ასევე უთანხმოება შეექმნა ესპანეთსა და ბრიტანეთს.

დღეს აშკარაა, რომ ევროკავშირი ვერ უქმნის მოქალაქეებს უსაფრთხო გარემოს. ვერ ახერხებს ახალი ტერორისტული ტალღისგან თავდაცვას, ასიმეტრიული საფრთხის - არალეგალური მიგრაციის პირობებში. ის დღეს გახდა მოუქნელი ტიპის გაერთიანება, რაც ბუნებრივია თამაშობს საკმაოდ ცუდ როლს. მიუხედავად იმისა, რომ ევროკავშირმა დიდი როლი ითამაშა საბერძნეთის პრობლემასთან დაკავშირებით. შეგვიძლია ვთქვათ, რომ ევროკავშირი ყოველთვის ეკონომიკურად უფრო ძლიერი იყო, ვიდრე პოლიტიკური თვალსაზრისით.

ახლა ასეთი სიტუაციაა, პოლიტიკური შიგთავსი თანდათან იფიტება, ეკონომიკური კი რჩება, მაგრამ პოლიტიკა დომინანტობს ეკონომიკაზე და პოლიტიკურ განცხადებებზე ბევრია დამოკიდებული“.

*კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, სოციალურ მეცნიერებათა დოქტორი - **ავთანდილ ტუკვაძე** ფიქრობს, რომ ევროკავშირი გარკვეულწილად საჭიროებს მოდერნიზაციას.*

კერძოდ, ის აღნიშნავს - „ბრიტანელი ხალხის გადაწყვეტილებამ (ბევრს ასეთი არჩევანის არ სჯეროდა) ბევრი დააფიქრა და ძალიან ბევრ ევროსკეპტიკს მისცა იმედი. მე ვეთანხმები, საფრანგეთის ახლად არჩეული პრეზიდენტის მაკრონის შეხედულებას, რომ ევროკავშირი საჭიროებს მოდერნიზაციას. გარკვეულწილად, ძვირადღირებული ბიუროკრატიული აპარატი, გადაწყვეტილებების მიღების შენელებული სისტემა, ეს ყველაფერი საბაზრო ტემპისთვის მიუღებელია და გარკვეულწილად მოსაძებნია ფორმულა, რომ გათვალისწინებული იყოს ყველა ევროკავშირის წევრი ქვეყნის ინტერესი. საბერძნეთის მაგალითი, განსაკუთრებით გვიჩვენებს, რომ ევროკავშირი არ უნდა მიუდგეს ასე ხისტად სხვა ქვეყნების ტრადიციებს, თავისებურებებს, თუმცა სხვა ქვეყნებმაც უნდა გაითვალისწინონ ის მოთხოვნები, რაც არის ევროკავშირის სტანდარტი“.

*„დამოუკიდებელ ექსპერტთა კლუბის“ ხელმძღვანელი - **სოსო ცისკარიშვილი** ფიქრობს, რომ ევროკავშირს კიდევ დიდი პერსპექტივა აქვს და საქართველო აუცილებლად გახდება მისი წევრი.*

ნაწილი VII

რა პერსპექტივები აქვთ იმ ქვეყნებს, რომლებსაც ღიად აქვთ გაცხადებული ევროპული გზით განვითარების არჩევანის შესახებ?

*კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, სოციალურ მეცნიერებათა დოქტორი - **ვალერი მოდებაძე,** მიიჩნევს რომ ევროკავშირის გზა ეკლიანია, თუმცა განვითარება სხვაგვარად ვერ წარმოუდგენია.*

ის ფიქრობს - „ევროკავშირისკენ სიარული, ეს არის ეკლიანი გზა, მაგრამ „ვარდი უეკლოდ არავის მოუკრეფია“. ყველა ქვეყანა, რომელსაც ევროპული არჩევანი აქვს გაკეთებული

გარკვეული პრობლემების წინაშე დადგა, ეს არის ტერიტორიული მთლიანობის პრობლემა, რუსეთისგან წარმოიშვა საფრთხეები. საქართველოს,მოლდოვას და უკრაინას შეექმნა პრობლემები, ამ ქვეყნებში დაიწყო კონფლიქტები. ეს არის ეკლიანი გზა, მაგრამ მე ვერ წარმომიდგენია პროევროპული კურსის გარეშე ქვეყნის განვითარება".

*შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტისა და კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, პოლიტოლოგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების დოქტორი -**ნიკა ჩიტაძე,** მიიჩნევს რომ ევროპული გზა საქართველოს დაეხმარება კონფლიქტების მოგვარებაში.*

კერძოდ, ის აღნიშნავს - „ჩემი აზრით, პერსპექტივები არის ის, რომ ამ ქვეყნებში გატარდება უფრო დემოკრატიული რეფორმები, ასევე მოხდება სავაჭრო მოცულობის ზრდა ევროკავშირის წევრებთან და შესაძლებელი იქნება კონფლიქტების დარეგულირება. კვიპროსის შემთხვევაშიც, როცა ის ევროპულ გზას დაადგა, ხელსაყრელი ნიადაგი შეიქმნა კვიპროსის გაერთიანების და საქართველოს შემთხვევაშიც დეოკუპაცია, შესაძლოა მოხდეს ევროპეიზაციის გზით".

*კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, პოლიტიკურ მეცნიერებათა დოქტორი - **თორნიკე შურღულაია** უფრო სკეპტიკოსების აზრს იზიარებს და ევროკავშირს დიდ პერსპექტივას ვერ უწინასწარმეტყველებს.*

კერძოდ, ის მიიჩნევს - „საქართველოსა და უკრაინის მიერთებამ ევროკავშირში არამგონია, რომ დიდი კოლაფსი გამოიწვიოს, მაგრამ მას ექნება რთული გამოწვევების სახე, იმიტომ რომ ჯერჯერობით ევროკავშირის მომავალი არის პროგნოზირებადი, მაგრამ გრძელვადიან პერიოდში ევროკავშირი რამდენად შეინარჩუნებს სტაბილურობას, ეს არავინ იცის. მე სამწუხაროდ, უფრო ევროსკეპტიკოსების მოსაზრებას გავიზიარებ და ვიტყვი რომ ევროკავშირს აქვს ის მანკიერი თვისებები, რაც საბჭოთა კავშირის ბიუროკრატიას ჰქონდა. ბიუროკრატიულმა ნაწილმა დაიწყო რყევა ევროკავშირის დიდი, მოუქნელი გაერთიანების შიგნით. ამიტომაცაა, ევროკავშირმა დღეს დააყენა საკითხი, რომ

გაფართოვება აღარ მოხდება. ამ კუთხით რაც ახლა საქართველოს და უკრაინას მისცეს - ასოცირებული წევრობა, უვიზო მიმოსვლის უფლება - ეს ევროკავშირის მხრიდან დიდი რევერანსია".

*კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, სოციალურ მეცნიერებათა დოქტორი - **ავთანდილ ტუკვაძე** ფიქრობს, რომ ევროკავშირის წევრობის სირთულე, გამოწვეულია გერმანიის, როგორც სპონსორი ქვეყნის ინტერესებით.*

კერძოდ, ის აღნიშნავს - „ვხედავთ რომ ევროკავშირი, როგორც ნატო, არ არის „კეთილშობილ ქალიშვილთა ინსტიტუტი", რომ ყველას იღებდნენ და ღია კარის პოლიტიკას ატარებდნენ, პირიქით იქ არის საკმაოდ მძლავრი აზრი, მძლავრი მიმართულება, განსაკუთრებით გერმანიის. ის ცდილობს რომ ევროკავშირის წევრობა, ან ნატოს წევრობა მაქსიმალურად გაიწელოს დროში. ამას თავისი პოლიტიკური და ეკონომიკური მიზეზები აქვს, რადგან გერმანია ძირითადად ევროკავშირის სპონსორი ქვეყანაა. ის თავის ზურგზე იღებს იმ პროცესების მართვას რაც ამჟამად მიმდინარეობს ევროკავშირში".

*„დამოუკიდებელ ექსპერტთა კლუბის" ხელმძღვანელი - **სოსო ცისკარიშვილი** მიიჩნევს რომ ევროპული გზა ჩვენი წინაპრებისთვისაც სასურველი იყო, რადგან წარსულში ვერ მოხერხდა ამ გზით სვლა, ახლა ეს შანსი ხელიდან არ უნდა გავუშვათ.*

კერძოდ, ის აღნიშნავს - „ეს იქნება გარანტია იმისა, რომ ის გენეტიკური სირთულე, რომელიც ჯერ კიდევ გააჩნია უფროს თაობებს საბჭოთა „ვაი" დემოკრატიის ფარგლებში არ იყოს სადარდებელი აღარც მათთვის და აღარც მათი შთამომავლებისთვის. დიახ, დიქტატურა და დემოკრატია აბსოლუტურად განსხვავებული ცნებებია. შეიძლება ჩვენი ცნობიერება ჯერ არ არის მზად იმისთვის, რომ სრული დემოკრატიით ვისიამოვნოთ, მაგრამ გავა დრო და ჩვენ არა მხოლოდ სადღეგრძელოებში, არამედ რეალობაშიც

აღმოვაჩენთ საკუთარ თავს, ევროპის ღირსეულ ნაწილად, რომელიც ჩვენი წინაპრებისთვისაც სასურველი იყო. აქამდე ამის შანსი არ გვქონდა, ახლა გვაქვს.

სიკეთე არის დემოკრატიაში, შეცდომები არის ყველა ქვეყანაში, მაგრამ როდესაც ჩვენ ვცდილობთ გადმოვიღოთ სრულად ყველა მიმართულებით ერთი და იგივე სტანდარტი, უნდა ვეცადოთ არ დაგვავიწყდეს ჩვენი ქვეყნის თავისებურება. არა იმიტომ, რომ „რაც კარგები ვართ, ქართველები ვართ“, არამედ უნდა ვიცოდეთ რისი შნო გვაქვს, რისი არა და როგორ უნდა შევიძინოთ ის, რაც ჩვენთვის სასურველია“.

დ ა ს კ ვ ნ ა

წინამდებარე ნაშრომში მიმოხილულ იქნა საქართველოს, სომხეთის,აზერბაიჯანის, მოლდოვას, უკრაინისა და ბელორუსის ევროკავშირში ინტეგრაციასთან დაკავშირებული გამოწვევები და პერსპექტივები.

ასევე დადასტურდა ჩვენი ჰიპოთეზაც - ევროინტეგრაცია არის საქართველოს არჩევანი, რომელიც უზრუნველყოფს მის დემოკრატიულ განვითარებას, სოციალურ - ეკონომიკურ წინსვლას. აღმოსავლეთ პარტნიორობის ხელშეკრულება კი ამ გზაზე მნიშვნელოვანი ეტაპია.საქართველოსგან განსხვავებით, ზოგიერთი პოსტსაბჭოთა ქვეყნის არჩევანი არ გახლავთ, მოახდინოს ინტეგრირება ევრო-ატლანტიკურ სტრუქტურებში.

ისეთ კონფლიქტურ არეალში, როგორიც პოსტსაბჭოთა სივრცეა, ძალზედ მნიშვნელოვანია ევროკავშირის აქტიური ჩართულობა .გარდა კონფლიქტებისა,

არანაკლებ მნიშვნელოვანია ორგანიზაციის დასავლური ღირებულებების გაზიარება, როგორიც არის ადამიანის უფლებების დაცვა, სასამართლო სისტემა.

ყველა მნიშვნელოვანი მიზნის მიღწევის, მათ შორის ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო ხელშეკრულების გაფორმების და ვიზალიბერალიზაციის ამოქმედების შემდეგ, საქართველოსთვის, მოლდოვასა და უკრაინისთვის ევროკავშირთან ურთიერთობაში ბუნდოვანი პერიოდი იწყება. აღმოსავლეთ პარტნიორობით გათვალისწინებული ყველა მიზანი უკვე მიღწეულია, ახალი მიზნები კი დასახული არ არის. ამასთან, დიდია სხვაობა საქართველოს მოსახლეობის მხრიდან სრული ინტეგრაციის მოლოდინსა და ევროკავშირის რეალურ შესაძლებლობებს შორის. იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ ევროკავშირში გაწევრიანების პერსპექტივა ამ ეტაპზე არ არსებობს, საქართველოს მთავრობამ ყურადღება ამ გამოწვევაზე უნდა გაამახვილოს.

- პირველი, მოსახლეობაში ევროკავშირის საწინააღმდეგო დამოკიდებულება არ უნდა გამძაფრდეს და ქვეყანამ დემოკრატიული განვითარების გზას არ უნდაგადაუხვიოს;
- მეორე, ნატოში გაწევრიანების მცდელობასთან ერთად, საქართველო უსაფრთხოებისა და სამხედრო სფეროში ურთიერთობის გაღრმავებას უშუალოდ ევროკავშირთანაც უნდა შეეცადოს.
- მესამე, საქართველომ, ევროკავშირის საერთო ბაზარზე სრული ინტეგრაციის გზები უნდა ეძიოს, რაც მაგალითად, ქართველი მუშახელისთვის ევროკავშირის შრომის ბაზრის გახსნასაც მოიაზრებს.

ევროკავშირში სამუშაო ძალის თავისუფალი გადაადგილების მისაღწევად (რაც ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო ხელშეკრულების ოთხი თავისუფლებიდან ბოლო, დარჩენილი თავისუფლებაა, რომელიც ამ ეტაპზე საქართველოსთვის არ არის გათვალისწინებული), ერთ-ერთი გზა ევროპის თავისუფალი ვაჭრობის ასოციაციის მსგავსი ორგანიზაციის დაარსებაა, რომელიც ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულების მქონე აღმოსავლეთ პარტნიორობის წევრ ქვეყნებს მოიცავს. ეს ქმედება,

თავის მხრივ, ევროპის ეკონომიკური სივრცის ხელმისაწვდომობას შეუწყობს ხელს. ამავდროულად, საქართველომ თავი უნდა შეიკავოს ევროკავშირის ისეთ ინსტიტუციონალურ ჩარჩოებში (მაგალითად, ევროკავშირის საბაჟოკაშირში) მონაწილეობაზე, რომლებიც უმნიშვნელო სარგებლის მომტანია და ამასთან, საგარეო ვაჭრობის სფეროში საქართველოს ავტონომიას შეზღუდავს. რაც შეეხება უსაფრთხოების და სამხედრო სფეროს, საქართველომ ნატოში გაწევრიანებისთვის მუშაობა უნდა გააგრძელოს, მაგრამ, ამავდროულად, ევროკავშირის სამხედრო შესაძლებლობების განვითარების პროცესსაც ყურადღებით უნდა დააკვირდეს და ამ პროცესში შეძლებისდაგვარად ჩაერთოს.

დაბოლოს, საქართველოს მთავრობამ ქვეყნის დემოკრატიზაციის პროცესის უწყვეტობა უნდა უზრუნველყოს, რადგან ამ უკანასკნელის შეფერხება ქვეყნის ევროპეიზაციის შეფერხებასაც გამოიწვევს.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ჩიტაძე.ნ, გეოპოლიტიკა, თბილისი გამომცემლობა“უნივერსალი“ 2011;

2. კაპანაძე.ს, ევროკავშირის პოლიტიკა, თბილისი 2006;

3. ქოჩლაძე.მ, გოჩიტაშვილი.თ, ჭიაბრიშვილი.ი, მაღრაძე.ნ, კვარაცხელია.თ. საქართველო და ევროპის ენერგეტიკული გაერთიანება-ევროინტეგრაციის გამოწვევები, თბილისი, 2015;

4. დეკანოზიშვილი.მ, ევროკავშირი სამხრეთ კავკასიაში-სამხრეთკავკასია ევროკავშირში? თბილისი, 2004;

5. გაჩეჩილაძე.რ, ევროინტეგრაციის პროცესი სამხრეთ კავკასიაში, თბილისი, 2013;

6. ეკონომიკური პოლიტიკის კვლევის ცენტრი, ევროკავშირის შეთანხმება ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ და საქართველო, 2014;

7. საერთაშორისო გამჭვირვალობა-საქართველო, ევროპის სამეზობლო პოლიტიკა: ანტიკორუფციული რეფორმების მონიტორინგი, თბილისი 2010;

8. საგარეო საქმეთა და უსაფრთხოების პოლიტიკის საკითხებში ევროკავშირის უმაღლესი წარმომადგენელი, ევროპის სამეზობლო პოლიტიკის განხორციელება საქართველოში, ბრიუსელი, 2014;

9. ლაზარაშვილი. ე,სამხრეთკავკასიის პრობლემები და გამოწვევები, 2014;

10. ვარდიშვილი. გ, ფანჩულიძე. ე, მეტი საქართველო ევროკავშირში - საქართველოს „ევროპული პერსპექტივა“, პოლიტიკის დოკუმენტი, გამოცემა 5, აპრილი, 2017;

11. ლებანიძე. ბ, საქართველოს ევროპული ინტეგრაცია: რა იქნება აღმოსავლეთ პარტნიორობის შემდეგ?, პოლიტიკის დოკუმენტი, გამოცემა 6, აპრილი,2017;

12. Europian Initiative Liberal Academy Tbilisi, რუსეთის ხისტი და რბილი ძალის საფრთხეები საქართველოში, თბილისი, 2016;

13. კიკნაძე.თ ევროკავშირთან ასოცირების შეთანმება: სამართლებრივი, პოლიტიკური დაეკონომიკური ასპექტები

14. რა არის ევროკავშირი?. http://infocenter.gov.ge/euinfo-the-eastern-partnership/

15. Börzel and Lebanidze, ‘Börzel et al. 2015;

16. European Commission, ‘Review of the European Neighbourhood Policy;

17. Mkrtchyan T., Huseynov T., Gogolashvili Kh., The European Union and the South Caucasus Three Perspectives on the Future of the European Project from the Caucasus, 2009;

18. Coppieters B., Europeanization and Conflict Resolution,2004;

19. Boonstra J., Delcour L., A broken region: evaluating EU policies in the South Caucasus, Spain, 2015;

20. Tamm S, WEAKNESS AS AN OPPORTUNITY: EU POLICY IN THE SOUTH CAUCASUS, 2009;

21. Country Strategy paper, European Neighbourhood and Partnership Instrument. Armenia, 2007-13;

22. Alieva L., EU and South Caucasus, CAP Discussion Paper, Bertelsmann Group for Policy Research, 2008;

23. Nurieyev E., The EU Policy in the South Caucasus: The Case of Post-Soviet Azerbaijan. New Opportunities and Future Prospects, German Institute for International and Security Affairs Working Paper, Berlin, 2006;

24. Georgian Foundation for Strategic and International Studies, The EU in the South Caucasus: By What Means, to What Ends? Tbillisi, 2004;

25. Alieva L., Energy security in the South Caucasus: views from the region, 2015;

26. Raquel M., Security in the South Caucasus. Th EU, Nato and Russia, 2013;

27. Averre D., Competing rationalities: Russia, the EU and the shared neighbourhood;

28. Наджафов Э. Н., Безопасность Южного Кавказа в политике Азербайджана, региональных и глобальных организаций, 2004;

29. Юматов К.В., ЭВОЛЮЦИЯ ПОЛИТИКИ ЕВРОПЕЙСКОГО СОЮЗА НА ЮЖНОМ КАВКАЗЕ, 2012;

URL:HTTP://CYBERLENINKA.RU/ARTICLE/N/EVOLYUTSIYA-POLITIKI-EVROPEYSKOGO-SOYUZA-NA-YUZHNOM-KAVKAZE

30. Грузинский институт исследований России , Политика Евросоюза на Кавказе,2011.

Гузенкова Т. С., Политика Евросоюза в отношении стран постсоветского пространства в контексте евразийской интеграции, 2015;

31. Бзежинский З., Великая шахматная доска, 2007;

32. Громыко А., Европейский союз в поиске глобальной роли: политика, экономика, безопасность, 2015;

33. Наджафов Э. Н., Безопасность Южного Кавказа в политике Азербайджана, региональных и глобальных организаций, 2004;

URL: http://www.dissercat.com/content/bezopasnost-yuzhnogo-kavkaza-v-politike-azerbaidzhana-regionalnykh-i-globalnykh-organizatsii

34.Гегелашвили Н.А. Политика ЕС и США на Южном Кавказе и в Большом Причерноморье, 2012;

URL: http://magazines.russ.ru/vestnik/2012/33/g15.html

35. Гусейнов В.А, южный кавказ- тенденции и проблемы развития, МОСКВА,2008;

URL: http://www.isoa.ru/docs/kavkaz.pdf

36. Мурадян И.- ИНТЕРЕСЫ ЕВРОПЕЙСКОГО СОЮЗА НА ЮЖНОМ КАВКАЗЕ И КАРАБАХСКАЯ ПРОБЛЕМА,2004;

37. СЕМЕНОВ В. С., ПОЛИТИКА ЗАПАДНЫХ ДЕРЖАВ НА ЮЖНОМ КАВКАЗЕ В КОНЦЕ XX – НАЧАЛЕ XXI ВВ, Белгород,2015;

URL:http://dekanat.bsu.edu.ru/f.php/1/disser/case/fileavtoref/fileavtoref/408_Avtoreferat_Semenova_ITOG.pdf

38. ПРЕФЕРЕНЦИЯ В РЕГИОНЕ ЮЖНОГО КАВКАЗА: ПОЛИТИКА СОСЕДСТВА ЕС И ИНТЕРЕСЫ РОССИИ, Москва ,2013;

39. Россиская Академия Наук Институт Черноморье- Каспий-Поиск Новых Форматов Безопасности и Сотрудничества, Москва,2011;

URL: http://www.ieras.ru/grsredcher.htm

40. Иноземцев В. Л. Как Европе выжить без российского газа;

URL: http://daily.rbc.ru/opinions/economics/15/12/2014/548b02622ae5961787454bbc

დანართი 1





2017 წლის იანვარ-მარტში საქართველოს საგარეო სავაჭრო ბრუნვამ ევროკავშირის ქვეყნებთან 641 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, რაც წინა წლის შესაბამისი პერიოდის მაჩვენებელზე 26 პროცენტით მეტია.

აქედან ექსპორტი 159 მლნ. აშშ დოლარი იყო (44 პროცენტითმეტი), ხოლო იმპორტი 481 მლნ. აშშ დოლარი (21 პროცენტით მეტი).

საქართველოს საგარეო სავაჭრო ბრუნვაში ამ ქვეყნების წილმა 28 პროცენტი შეადგინა, მათ შორის ექსპორტშიც 28 პროცენტი და იმპორტშიც 28 პროცენტი (2016 წლის იანვარ-მარტში შესაბამისად 26, 25 და 27 პროცენტი).

ევროკავშირის ქვეყნებზე მოდიოდა სავაჭრო დეფიციტის 28 პროცენტი (2016 წლის იანვარ-მარტში ასევე 28 პროცენტი).

დსთ-ისქვეყნებთან საგარეო სავაჭრო ბრუნვამ 2017 წლის იანვარ-მარტში 751 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა (2016 წლის იანვარ-მარტთან შედარებით 35 პროცენტით მეტი). აქედან ექსპორტი 205 მლნ. აშშ დოლარი (59 პროცენტით მეტი), ხოლო იმპორტი 546 მლნ. აშშ დოლარი იყო (27 პროცენტით მეტი). საქართველოს საგარეო სავაჭრო ბრუნვაში დსთ-ის ქვეყნების წილი 33 პროცენტი იყო, მათ შორის ექსპორტში 36 პროცენტი და იმპორტში 32 პროცენტი (2016 წლისიანვარ-მარტშიშესაბამისად 29, 28 და 29 პროცენტი).

2017 წლის იანვარ-მარტში დსთ-ის ქვეყნებზე მოდიოდა სავაჭრო დეფიციტის 30 პროცენტი (2016 წლის იანვარ-მარტში 29 პროცენტი). ქვემოთ მოცემული დიაგრამა გვიჩვენებს ქვეყნების ჯგუფების წილს საქართველოს მთლიან ექსპორტსა და იმპორტში.